საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან — № 33 (53) — სამშაბათი, 19 თებერვალი, 1991 წელი. — ფასი 10 კაპიკი

პრესკონფერენცია მოსკოვში

მოსკოვში, საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა გიორგი ხოშტარიამ პრესკონფერენცია გამართა საბჭოთა და საზღვარგარეთელი ჟურნალისტებისათვის. პრესკონფერენციაში მონაწილეობდა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი ლევან ალექსიძე.

გიორგი ხოშტარიამ ჟურნალისტების წინაშე გააკეთა განცხადება, რომელშიც პროტესტი გამოთქვა იმის გამო, რომ საქართველოში და, კერძოდ, სამაჩაბლოში მიმდინარე მოვლენებს ტენდენციურად და ცალმხრივად აშუქებენ მასობრივი ინფორმაციის საკავშირო საშუალებანი. მან დაახასიათა რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია, დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა მიზეზებზე, რომლებმაც გამოიწვია კონფლიქტი შიდა ქართლში. მან აღნიშნა, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გვერდს უვლიან ამ კონფლიქტის მთავარ მიზეზს და ცდილობენ საქართველო გამოიყვანონ მის ტერიტორიაზე მცხოვრები მცირერიცხოვანი ხალხის მჩაგვრელის როლში. ქართველი ხალხის, მისი მთავრობისა და უზენაესი ხელისუფლებისათვის ამგვარი ჩირქის მოცხების აბსურდულობა აშკარაა, საკმარისია მხოლოდ ობიექტურად გავერკვეთ ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის ირგვლივ შექმნილ ვითარებაში. ჟურნალისტები, აღნიშნა გიორგი ხოშტარიამ, მკითხველსა და მაყურებელს აჩეჩებენ ისეთ „ცხელ-ცხელ“ ფაქტებს, რომლებმაც მართლა შეიძლება აღაშფოთოს ყოველი ნორმალური კაცი. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ სწორედ ქართველები გარბიან საკუთარი მიწა-წყლიდან, და იმათმა რიცხვმა, ვინც უსახლკაროდ დარჩა ან დატოვა საკუთარი სახლი ფიზიკური მოსპობის საფრთხის გამო, უკვე რამდენიმე ათასს მიაღწია. იღვრება ყოვლად უდანაშაულო ადამიანების სისხლი, ჩვეულებრივ საქმედ იქცა ქართველების სახლების გადაწვა, ისევე როგორც გახშირებული სროლა. ოსების მხარე კარგად არის შეიარაღებული, ქართული მილიცია კი, რომელიც წესრიგს უნდა იცავდეს, პრაქტიკულად განიარაღებულია. თუმცა, თქვა მინისტრმა, კონფლიქტი სამაჩაბლოში და მისი ტრაგიკული განვითარება მოსალოდნელი იყო, რადგან ოსურ კოზირს მარჯვედ იყენებს ცენტრი, რათა საქართველოს ხელი მოაწერინოს სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე.

უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის ანალიზმა, რომელიც გიორგი ხოშტარიამ და სამართალმცოდნე ლევან ალექსიძემ გააკეთეს, დააფიქრა ჟურნალისტები. ამჯერად არ ყოფილა ხრიკიანი კითხვები და გამოხდომები საქართველოს მთავრობისა და ხალხის წინააღმდეგ. ღმერთმა ქნას, რომ ყინული დაიძრას და იკლოს ცილისმწამებლურმა კამპანიამ ცენტრალური პრესის ფურცლებიდან და საკავშირო ტელევიზიით.

საქინფორმი

გონს მოეგეთ, ბატონო „ამხანაგებო“

კომუნისტთა წინასაარჩევნო დაპირებანი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან თანამშრომლობის შესახებ, წინასაარჩევნო დაპირებებად დარჩა, ხოლო სიცრუე ისევ თქვენს მთავარ იარაღად. დემაგოგიის ხელოვნება საუკუნეების მანძილზე იხვეწებოდა და ახალ ფორმებს ღებულობდა, თქვენი მართველობის პერიოდში კი სახელმწიფო მართველობის სამსახურში ჩადგა. განსაცვიფრებლად ერთნაირია თქვენი მეთოდები ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთზე. ლენინი, დამფუძნებელი კრების დათხოვნის წინადღეს, საქვეყნოდ აცხადებდა დემოკრატიის და სახალხოდ არჩეული დამფუძნებელი კრების უდიდესი როლის შესახებ სახელმწიფოს მართველობაში. 1918 წლის 5 იანვრის, მუშათა დემონსტრაციის დახვრეტის წინა დღეს, კი ხალხს მოუწოდებდა ქუჩაში გამოსულიყვნენ და მხარი დაეჭირათ დამფუძნებელი კრებისათვის. შედეგები თქვენთვის ცნობილია.

საქართველოს კომპარტიის ლიდერები, ერთი მხრივ უზენაეს საბჭოსა და ქართველ ხალხს ერთგულებას ეფიცებიან, ხოლო ზურგს უკან ინტრიგების ქსელს ხლართავენ და საქართველოში კომუნისტური ძალაუფლების რესტავრაციას ამზადებენ. ერთადერთი სწორი წინადადება თქვენს წერილში წარმოდგენილია ფრაზით „ხელოვნურად ვძაბავთ სიტუაციას ბატონო ზვიად“. ჭეშმარიტად, ბატონო კომუნისტებო, ხელოვნურად ძაბავთ სიტუაციას. „საქართველოში ხალხს სცივა, წყურია, იზრდება დანაშაული“, მერედა ვისი ბრალია, ვინ მიიყვანა ხალხი სასოწარკვეთილებამდე, ვინ შთააგონებდა მათ, რომ კომუნისტური ხელისუფლება ბედნიერებისა და კანონის გარანტიაა, ვინ ყულეფდა ხალხს და ბოლოს, ტყუილი, ძარცვა, შიში, მკვლელობა ვინ აიყვანა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში. თქვენ, აშკარა პროვოკაციას მიმართავთ, როდესაც წერთ თითქოს უზენაესი საბჭო ხალხს რევოლვერებს და ავტომატებს ურიგებს. ეს უკვე დემაგოგია არ არის. ანალოგიური სცენარი თამაშდებოდა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში.

გაფრთხილდით და გონს მოეგეთ, ბატონო „ამხანაგებო“. ძალაუფლება დროებითი კატეგორიაა, ხოლო სამშობლო, მისი თავისუფლება და ქართველი ხალხი მუდმივი და ჭეშმარიტი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრი

საკუთარ სახლში

ხალხის ინტერესები უპირველეს ყოვლისა

18 თებერვალს თბილისში მთავრობის სახლთან გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი. აქ გამოსულმა ორატორებმა — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ, უზენაესი საბჭოს წევრებმა თეიმურაზ ქორიძემ და მანანა ძოძუაშვილმა, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა გიორგი ხოშტარიამ და სხვებმა აღნიშნეს, რომ კვლავ გრძელდება განსაცდელის ჟამი ჩვენი ხალხისათვის. საქართველოში არ არის ინტერფრონტი, ძლიერი კომპარტია, ამიტომ კრემლი დასაყრდენად ეძებს სხვა ძალებს, რომლებიც მოქმედებენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშით.

უკანასკნელ დღეებში, ითქვა, მიტინგზე, მთელ რიგ რაიონებში — ყვარლის, გურჯაანის, კასპის და სამტრედიის რაიონებში მოხდა პრეფექტებზე, ხელისუფლების წარმომადგენლებზე თავდასხმები. ამით, განაცხადეს ორატორებმა, კიდევ უფრო ამწვავებენ ვითარებას, ამზადებენ ნიადაგს რესპუბლიკაში ახალი სამხედრო ინტერვენციისათვის.

დიახ, ჩვენც ვგმობთ სამხედროების მიერ ძალის გამოყენებას ჩვენი რესპუბლიკის მოქალაქეთა წინააღმდეგ, მაგრამ, ამავე დროს, არ შეიძლება თვალი ავარიდოთ ხელოვნურად პროვოცირებულ კონფლიქტებსაც არმიის ქვედანაყოფების წარმომადგენლებთან. ორატორების აზრით, ასეთი შეტაკებები კრემლის, „მხედრიონის“ მიერ არის ინსცენირებული და ამას შეიძლება საქართველოში ბალტიისპირეთის ამბების გამეორება მოჰყვეს, საფრთხე შეუქმნას ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტს, რესპუბლიკის მთავრობას.

ჩვენ სხვებზე ნაკლებად როდი ვართ დაინტერესებული, რომ საქართველოდან გაიყვანონ საბჭოთა არმიის ნაწილები, აღინიშნა მიტინგზე, მაგრამ უნდა ვიყოთ რეალისტები — ამისათვის საჭირო იქნება კიდევ გარკვეული დრო. ამავე დროს, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბთან 23 თებერვლისათვის დანიშნული აქციის განხორციელება ხელს აძლევთ ჩვენს მოშურნეებს, მას შეიძლება ძალზე არასასურველი შედეგები მოჰყვეს...

იმავე დღეს თბილისის ოპერისა და ბალეტის ეროვნული თეატრის შენობასთან გაიმართა მიტინგი, რომლის მონაწილეებმა, როგორც ისინი ამტკიცებდნენ, დაგმეს სამხედროთა თავდასხმა შავნაბადაში „მხედრიონის“ წარმომადგენლებზე.

გამოითქვა მოთხოვნა, რომ გულმოდგინედ გამოიძიონ და გამოაქვეყნონ მისი შედეგები.

ზურაბ გრძელიშვილი,
საქინფორმის კორ.

სურათზე: 18 თებერვლის მიტინგი მთავრობის სახლთან.
პაატა არჩვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა)

პროვოკაცია, რომელიც შორს იღებს სათავეს

სამტრედია, 18 თებერვალი (საქინფორმის კორ. მაკა კილაძე). ეს რომ ასეა, ახლა სამტრედიაში ეჭვიც აღარავის ეპარება. რამდენიმე დღეა ხალხი თვალს ადევნებს ცენტრალურ მაგისტრალზე სხვადასხვა სახეობის საჯარისო ნაწილების საეჭვო გადაადგილებას. საკავშირო პრესა და ტელევიზია ერთმანეთს არ აცლიან დეზინფორმაციის გადაცემას შიდა ქართლის ირგვლივ. თქმა არ უნდა, მზადდება ინფორმაციული დამუშავება გამიზნული აქციისათვის. და აი, შეიარაღებული თავდასხმა სამტრედიის ცენტრში: დაჭრილია ორი კაცი, დაზიანდა რაისაბჭოს აღმასკომის ყოფილი შენობა. ამ ამბავმა შეაშფოთა ყველა, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს ბედი.

— რა დასამალია, რომ ყველაფერი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გამოცხადებული აქციით დაიწყო, — ამბობს სამტრედიის პრეფექტი ზვიად ძიძიგური. — მან სამტრედიაში ყოვლად უსაფუძვლო მოთხოვნებითა და შეურაცხმყოფელი ლოზუნგებით გამორჩეული მიტინგები მოჰყვა, რამაც სამტრედიელთა სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. აქაურებმა არაერთხელ სთხოვეს აქციის მონაწილეებს შეეწყვიტათ რაიონის ცხოვრების დესტაბილიზაციის გამომწვევი აქცია. ბოლოს და ბოლოს ხალხი იმ ზომამდე მივიდა, რომ ბაგირები გადაუჭრა კარავს, სადაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამტრედიელ წარმომადგენლებთან ერთად სხვა რაიონებიდან ჩამოსული კიდევ რამდენიმე მათი გულშემატკივარი იჯდა. მოგვიანებით მათ „გასამხნევებლად“ თბილისიდან ჩამოსული სტუმრები შეუერთდნენ. მათ პრესკონფერენცია გამართეს ხის დამმუშავებელი კომბინატის კლუბში. შედეგი ის გახლდათ, რომ სამტრედიაში თავი მოიყარა შეიარაღებული ხალხის საკმაოდ მოზრდილმა ჯგუფმა...

— რევოლუციის ექსპორტი თექვსმეტ თებერვალს 15 საათზე დაიწყო, — აზუსტებს ამ ამბების თვითმხილველი, ცაგერის რაიონის მოსამართლე მიტროფანე სტურუა. — სტადიონთან მდებარე ლუდხანაში „წახემსების“ შემდეგ აქციის მონაწილეებმა ჯერ ბაღში შეკრებილ ხალხს აუტეხეს სროლა, შემდეგ კი რაიაღმასკომის შენობას შემოარტყეს ალყა. თავდამსხმელებმა დაარბიეს შენობის პირველი და მეორე სართულები, ჩალეწეს მინები, დაამსხვრიეს ავეჯი. მხოლოდ მტკიცე ზომების შემდგომ გახდა შესაძლებელი მათი შენობიდან გაძევება. განსაკუთრებით იმარჯვეს მოქალაქეებმა. სწორედ მათ განაიარაღეს და დააკავეს თავდასხმის ორი მონაწილე.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს რაიონის პროკურატურაში სამტრედიის ამბების გამო აღძრული სისხლის სამართლის საქმის შემოსაძიებლად შექმნილი საგანგებო ჯგუფის წევრებმა, დიდძალმა მასალამ მოიყარა თავი თავდასხმის მონაწილეების შესახებ. რაც შეეხება ორ დაშავებულს, ამჟამად თავს კარგად გრძნობენ. — ის როყიო ტყვია, ადვილი შესაძლებელია, მოხვედროდა იმ ტერიტორიაზე ჩემსავით შემთხვევით მყოფ ნებისმიერ ადამიანს, — თქვა სამტრედიელმა მშენებელმა გიზო ნიშნიანიძემ. მან ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობის გამო მუხლისთავის საკმაოდ რთული ოპერაცია გადაიტანა. ამიტომაა ძალადობის ყველა ასეთი ფორმა თავისი არსებით უაზრო და ამაზრზენი. არაფერს კარგს არ მოგვიტანს სხვის წისქვილზე წყლის მიშვება, ერთმანეთს შორის კინკლაობა და სისხლისღვრა. ყველამ უნდა შეიგნოს — ხალხს თავისი არჩეული ხელისუფლების და მთავრობის სჯერა და ამიტომაც ციხეს შიგნიდან არავის გაატეხინებს.

სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს

პატივცემულო თავმჯდომარევ!

პატივცემულო კოლეგებო!

ახლანდელ პირობებში, როცა ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში“ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს და საბჭოთა არმიის ნაწილების საფარითა და მხარდაჭერით ოსი ექსტრემისტები ტერორით აშინებენ, ხოცავენ და მშობლიური მიწიდან ერეკებიან ქართული ეროვნების მშვიდობიან მცხოვრებლებს, უზენაესი საბჭოს წევრები საქართველოს რესპუბლიკისაგან უარს ამბობენ მონაწილეობა მიიღონ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სხდომებში.

ჩვენ გამოვხატავთ პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ ცდილობენ ძალადურად მოსწყვიტონ საქართველოს შიდა ქართლის ისტორიული პროვინცია და იქ გააჩაღეს ძმათამკვლელი ომი, და ვაცხადებთ:

უხეშად ირღვევა ყველა საერთაშორისო, კონსტიტუციური, ზნეობრივი და ადამიანური კანონი ქართველი ხალხის მიმართ;

სანამ არ გამოვლინდებიან და არ დაისჯებიან ოს ექსტრემისტთა მეთაურები და ისინი, ვინც ფარულად თუ აშკარად უჭერს მათ მხარს, ვერ ჩაქრება ქართველი ხალხის მთელ ისტორიაში გაუგონარი სისხლისმღვრელი ეთნოკონფლიქტი.

და ყოველივე ეს ხდება ცენტრალური პრესისა და ტელევიზიის მხრივ სრული დეზინფორმაციის პირობებში, რომელიც საქართველოს ხელმძღვანელობას ბრალად სდებს ბლოკადის მოწყობას იმ დროს, როცა ეს მომხდარი ამბებით სასოწარკვეთამდე მისული ხალხის სტიქიური რეაქციაა.

გთხოვთ გაიგოთ და მხარი დაუჭიროთ ჩვენს პროტესტს.

მოკლედ საკითხის ისტორია ასეთია:

სამხრეთ ოსეთის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთეული შეიქმნა ოდინდელ ქართულ მიწაზე 1921 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ძალადური გასაბჭოებისა და ფაქტობრივი ანექსიისთანავე.

1989 წლის ნოემბერში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ავტონომიურ რესპუბლიკად ოლქის გარდაქმნის შესახებ. ეს გადაწყვეტილება გააუქმა, როგორც ანტიკონსტიტუციური აქტი, საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ 1989 წლის 19 ნოემბერს.

1990 წლის 20 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭომ მიიღო დეკლარაცია „სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ“, რომლითაც სამხრეთ ოსეთი ცხადდებოდა „სამოკავშირეო ხელშეკრულებისა და საერთაშორისო სამართლის სუბიექტად“, რომელიც „დამოუკიდებლად ახორციელებს საგარეო ურთიერთობას ფედერაციის სხვა ობიექტებთან და სახელმწიფოებთან“.

1990 წლის 21 სექტემბერს, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, ეს დეკლარაცია ბათილად იქნა მიჩნეული. მაგრამ 1990 წლის 16 ოქტომბერს, ამ დადგენილების საწინააღმდეგოდ, შეიქმნა „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის“ აღმასრულებელი კომიტეტი, და ამით სეპარატისტებმა თვითონ გააუქმეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. დაინიშნა „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის“ უზენაესი საბჭოს არჩევნები. და ეს იმ დროს, როცა ოსი ხალხის ისტორიული სამშობლო შედის რუსეთის სფს რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც ავტონომიური რესპუბლიკა.

1990 წლის 22 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის ახლად არჩეულმა უზენაესმა საბჭომ გააუქმა ეს დადგენილებანი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელობა გააფრთხილა, თუ რა პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ამ ანტიკონსტიტუციური მოქმედების შესაძლო შედეგებისათვის.

მაგრამ, ამის მიუხედავად, 1990 წლის 9 დეკემბერს სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ, არჩევნები მაინც გაიმართა.

სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობამ ყურად არ იღო მრავალი ოფიციალური გაფრთხილება, არ დაეთანხმა მოლაპარაკებას და განაგრძო სეპარატისტული მოქმედება. იგი ყოველნაირად პროვოკაციაზე იწვევდა საქართველოს ხელმძღვანელობას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“ სავსებით შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ოსები ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენენ, რომელსაც ამავე დროს აქვს საკუთარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფორმირება თავის ისტორიულ სამშობლოში — ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

1966 წლის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (27-ე მუხლი), ჰელსინკის 1975 წლის თათბირის საბოლოო აქტი, მადრიდისა და ვენის შეხვედრათა შემაჯამებელი დოკუმენტები და 1990 წლის „პარიზის ქარტია ახალი ევროპისათვის“ არ ითვალისწინებენ ეროვნული უმცირესობისათვის რაიმე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფორმირების არსებობას.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ცხოვრობს 100 ათასი ბერძენი, 308 ათასი აზერბაიჯანელი, 341 ათასი რუსი, 437 ათასი სომეხი. მათი კულტურული, რელიგიური და ენობრივი უფლებები არასოდეს არ დარღვეულა და არც არასოდეს დაირღვევა.

საქართველოს რესპუბლიკისა და სსრ კავშირის კონსტიტუციების შესაბამისად, ჩვენს რესპუბლიკას, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებსაც, რაკი სუვერენული სახელმწიფოა, უფლება აქვს დაიცვას თავისი ტერიტორიული მთლიანობა და ამასთან დაკავშირებით მიიღოს გადაწყვეტილებანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხებზე.

ერთხელ კიდევ გთხოვთ გაიგოთ და მხარი დაუჭიროთ ჩვენს პროტესტს.

უზენაესი საბჭოს წევრები საქართველოს რესპუბლიკისაგან: თ. გუაჩიძე, ვ. ადვაძე, ნ. მგალობლიშვილი, ვ. კუბლაშვილი, ე. შილაია, ნ. გოკუჩავა, ა. ბაქრაძე, ა. დიხტიარი, გ. ემირიძე, გ. მეტონიძე, ვ. ბერიკაშვილი, ა. ბათიაშვილი, ჯ. გუგუჩია და სხვები.

შიდა ქართლი

ბარიკადების უკან

ამ ორი უკანასკნელი თვის მანძილზე პირველად მოვახერხე დამეძლია მიჯნა, რომლის იქით ოსთა პოზიციებია. უჩვეულოდ გრძელი მომეჩვენა გზა ცხინვალში შესასვლელთან მდებარე ქართული მილიციის შტაბიდან საქალაქო აღმასკომის შენობამდე. თან მახლდა ქალაქ ცხინვალის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის განყოფილების უფროსი გივი ხუბაშვილი. პირქუშად დამხვდა კარფანჯრებჩამსხვრეული, ცარიელი, ზოგჯერ კი სანახევროდ დამწვარი სახლები. ჩემს გვერდით იშვიათად თუ ჩაივლიდა მანქანები, სადღაც მიეჩქარებოდათ ქამვლელებს, თუმცა ქალაქის საწარმოები და ორგანიზაციები დიდი ხანია აღარ მუშაობს. ძირითადად ქუჩაში ოსური ლაპარაკი ისმოდა. ქართველი ლტოლვილებისთვის ხომ მეორე სამაჩაბლო გახდა თბილისის სასტუმრო „აფხაზეთი“, რესპუბლიკის ქალაქების ტურისტული ბაზები.

ცენტრალური საავადმყოფო. ზამთრის სიცივე დერეფნებსა და პალატებში უფრო იგრძნობა, ვიდრე გარეთ. შევედი ერთ-ერთ პალატაში, თავი გავაცანი, პირველ საწოლზე მწოლიარე ყმაწვილმა ყვირილი ატეხა, მაჩვენა ორივე დაჭრილი ფეხი, მითხრა, მასობრივი ინფორმაციის ყველა რესპუბლიკური საშუალება ტყუისო. რაღაცის განმარტებას ვცდილობ. იგი ლამის ყვირილით გაიძახის: თბილისში ახლობელი ქართველი მეგობრები მყავს, სად არიან ისინი, ნუთუ ბარიკადების მეორე მხარეს დგანან?.. ვესაუბრები მეორეს, მესამეს. ყოველ მათგანს თავისი ტკივილი აქვს, მაგრამ, ალბათ, ეს ჩვენი საერთო ტკივილია.

— დღეს ჩვენს სტაციონარში 25 კაცი წევს, — თქვა მთავარი ექიმის მოადგილემ ლ. ბეკოევამ. — ოთხი მათგანი მძიმედ არის. სიტუაცია კრიზისულია. არ გვყოფნის წამლები, საცაა გამოილევა სურსათი, არა გვაქვს სითბო. უმოქმედოდაა მთელი აპარატურა. მედიკამენტები მოსახლეობამ შეგვიგროვა, გაგვიზიარა საოჯახო აფთიაქების მარაგი, ვიღებთ ამანათებს მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, მაგრამ, თავად მოგეხსენებათ, ეს წვეთია ზღვაში.

ცხინვალის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ინად ცხოვრებოვი იძულებული გავხდით შინ შეგვეწუხებინა, ცოტა არ იყოს, გულმა უმტყუნა, მაგრამ შეხვედრაზე მაინც გამოვიდა და თქვა: უცხოელი ჟურნალისტები და ცენტრალური გაზეთების კორესპონდენტები ჩვენს პრობლემებს ვერ გადაჭრიან, რესპუბლიკური პრესა კი უნდა დაგვეხმაროს დამწვარი ხიდების აღდგენაში. ამას არ დაეთანხმო, არ შეიძლება. მაგრამ, მეორე მხრივ, როგორ არ აღვნიშნოთ, რომ თავად მე უკვე მეორე თვეა ვერ მომიხერხებია ქალაქში მოხვედრა, თუმცა საკუთარი კორესპონდენტი ვარ ზონაში. ამავე დროს მასობრივი ინფორმაციის ცენტრალურ საშუალებათა კორესპონდენტები ასეთ დაბრკოლებებს არა ხვდებიან.

— ქალაქში სიცივე და შიმშილია, — თქვა მან, — მე, როგორც ექიმს, მიმაჩნია, რომ ქალაქს ელექტრობა აუცილებლად უნდა მიაწოდონ. ამგვარი აქციის შედეგად ვერც ერთი მხარე ვერ მოიგებს. ამით არავითარ შემთხვევაში არ ამაღლდება საქართველოს რესპუბლიკის ავტორიტეტი. ნება მიბოძეთ მივმართო ენერგეტიკული ბლოკადის ორგანიზატორებს: შექმენით ექსპერტთა კომისია, ჩამოდით ადგილზე და გაარკვიეთ — სად არის სიმართლე და სად — ტყუილი. თქვენ გარანტირებული გექნებათ სრული უსაფრთხოება, დაყოვნება არ შეიძლება. სიცივე მხოლოდ სიცივეს წარმოშობს. ჩვენ არ გვაპატიებენ წინაპრები, რომელთა ძვლები ერთ სასაფლაოზე განისვენებენ.

და კვლავ მინდა ვთქვა, რომ ელექტრობა არ ჰყოფნის „საერთოდ მთელ რესპუბლიკას, რაიონები მას გრაფიკის მიხედვით იღებენ. ცხინვალის საკავშირო საწარმოები კი პოულობენ შესაძლებლობას გამოუშვან იარაღი ექსტრემისტებისათვის.

გვიანი საღამოა. ქალაქი წყვდიადს მოუცავს. მაგრამ თითქმის ყოველი ქუჩის ბოლოს კოცონები ანთია. მას უსხედან ადამიანები, ზოგიც ფეხზე დგას. მითხრეს, ესენი ქართველები და ოსები არიან, რომლებიც ქართველთა სახლებს ხანძრებისაგან იცავენო. მინდა მჯეროდეს, რომ ასეა. მაგრამ სროლა ქალაქის მხრიდან არ წყდება.

საგანგებო ვითარების ზონის სამედიცინო დაწესებულებებში შექმნილი სიტუაციის განმარტება ვთხოვეთ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრს ირაკლი მენაღარიშვილს.

— ბოლო ხანს კავშირი ამ რეგიონთან მთლიანად დარღვეულია. არაერთხელ ვცადეთ ამ რაიონში მიგვეწოდებინა მედიკამენტები და გაგვეგზავნა ჩვენი სპეციალისტები, მაგრამ სსრ კავშირის შინაგანი ძალების წარმომადგენლებმა უარი თქვეს ჩვენს თანხლებაზე და ეს იმით დაასაბუთეს, რომ ვერ უზრუნველყოფენ ჩვენს უშიშროებას. აქ არაერთხელ დარღვეულა მედიკოსებისადმი დამოკიდებულების საერთაშორისო ნორმები. ცეცხლი დაუშინეს და მოიტაცეს სასწრაფო დახმარების მანქანები, შეურაცხყვეს ექიმები. სამწუხაროდ, უკანასკნელი ცდები, რომ ცხინვალსა და ჯავაში ჩაგვეტანა წამლები ვერტმფრენავით, ჩაიშალა. მაგრამ ჩვენ მედიკოსები, მოვალენი ვართ ყველაფერი ვიღონოთ, რათა ისინი, ვისაც ეს სჭირდება, უზრუნველვყოთ საჭირო წამლებით და სამედიცინო დახმარებით. და ჩვენც კვლავ ვეცდებით.

რიტა დოლიძე,
საქინფორმის კორ.

ვითარება ცხინვალში

17 თებერვალს საღამოდან 18 თებერვლის დილამდე ქალაქ ცხინვალსა და მის მიმდებარე სოფლებში კვლავ დაძაბული ვითარება იყო. ექსტრემისტებმა რამდენჯერმე ესროლეს საქართველოს მილიციის საგუშაგოს.

ცხინვალში მკვეთრად იმატა დანაშაულმა. არის მკვლელობა, ძარცვა, ყაჩაღობა. გაიზარდა შემოტანილი იარაღის რაოდენობა, განსაკუთრებით იმ ექსტრემისტების ხელში, რომლებიც სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოვიდნენ. ქალაქის მილიცია თავს ვერ ართმევს შექმნილ რთულ ვითარებას. შინაგანი ჯარის ნაწილებმა ამ ბოლო დღეებში გააძლიერეს პატრულირება ქალაქის ტერიტორიაზე, რაც ექსტრემისტების წინააღმდეგობას იწვევს. 18 თებერვლის ღამეს პატრულმა დააკავა ოსი ეროვნების ხუთი მოქალაქე, რომელთაც აღმოაჩნდათ სხვადასხვა ცეცხლსასროლი იარაღი, მათ შორის შაშხანა და გადაჭრილი თოფი, საბრძოლო ვაზნებით.

იმავე ღამეს ქალაქის სტადიონის მახლობელი პიკეტიდან, რომელიც ექსტრემისტებს აქვთ მოწყობილი, ავტომატების ცეცხლი დაუშინეს სამხედრო ნაწილის დასახლებას.

კვლავ სიძნელეებია ცხინვალის რაიონის ქართული სოფლების პროდუქტებით მომარაგებაში. 17 თებერვალს სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს მშრომელებმა აქ გამოგზავნეს 4 ტონა ფქვილი, ღერღილი, 4 ბიდონი ზეთი და კომბინირებული საკვები პირუტყვისათვის, რაც ადგილობრივმა მოსახლეობამ მადლიერებით მიიღო.

18 თებერვალს დღისით რეგიონში შედარებით სიმშვიდე იყო.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.
საქინფორმი

ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოების არჩევნებთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად ტერიტორიული და საქალაქო საარჩევნო კომისიების ორ-ორ წარმომადგენელთან (სასურველია თავმჯდომარესთან და მოადგილესთან) ეწყობა ზონალური თათბირები. თათბირებზე ჩამოსულებმა თან უნდა იქონიონ:

1. ტერიტორიული საარჩევნო კომისიის წევრთა ზუსტი სია და მათი წარდგენის დოკუმენტები;
2. საკრებულოთა ტერიტორიების ოლქებად და უბნებად დაყოფის პროექტი;
3. ყოველ საკრებულოში შემავალი დასახლებული პუნქტების ნუსხა და ამომრჩეველთა რაოდენობა მათში.

ზონალური თათბირები გაიმართება შემდეგ ქალაქებში:

ქ. თბილისში — თბილისის, მცხეთის, თიანეთის, დუშეთის, ყაზბეგის, გარდაბნის და რუსთავის კომისიების წარმომადგენელთათვის;

ქ. გურჯაანში — თელავის, ყვარლის, ახმეტის, ლაგოდეხის, სიღნაღის, საგარეჯოს, წითელწყაროს და გურჯაანის კომისიათა წარმომადგენელთათვის;

ქ. თეთრ წყაროში—მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, წალკის, და თეთრი წყაროს კომისიათა წარმომადგენელთათვის;

ქ. გორში — ქარელის, კასპის, ხაშურის, ახალგორის, ზნაურის, ცხინვალის და გორის კომისიათა წარმომადგენელთათვის;

ქ. ბორჯომში — ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის და ბორჯომის კომისიათა წარმომადგენელთათვის;

ქ. ქუთაისში — ქუთაისის, ზესტაფონის, ბაღდათის, ვანის, სამტრედიის, ხონის, წყალტუბოს, ტყიბულის, თერჯოლის, ჭიათურის, საჩხერის, ონის, ამბროლაურის, ცაგერის და ლენტეხის კომისიათა წარმომადგენელთათვის;

ქ. ზუგდიდში — ზუგდიდის, მესტიის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მარტვილის, ხობის, სენაკისა და აბაშის კომისიათა წარმომადგენელთათვის;

ქ. ბათუმში — ბათუმის, ქობულეთის, ქედის, ხელვაჩაურის, ხულოსა და შუახევის კომისიათა წარმომადგენელთათვის;

ქ. ფოთში — ფოთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის და ოზურგეთის კომისიათა წარმომადგენელთათვის.

თათბირები გაიმართება ზემოთ დასახელებული ქალაქების ადმინისტრაციულ შენობებში ამა წლის 20 თებერვალს 2 საათზე (ქ. თბილისში, 9 აპრილის ქ. № 6, ცენტრალური საარჩევნო კომისია).

(საქინფორმი).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დადგენილება

ა. გ. მათიაშვილის ახალგორის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს აკაკი გიორგის ძე **მათიაშვილი** ახალგორის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 15 თებერვალი.

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით გაუქმდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 11 თებერვლის დადგენილება გივი ივანეს ძე ქენქაძის ახალგორის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ. (საქინფორმი).

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა

17 თებერვალს ღამის ორ საათზე ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის შენაერთს, რომელიც დაგეგმილი საწვრთნელი მეცადინეობიდან ბრუნდებოდა, როგორც სამხედრო წყაროებიდან გახდა ცნობილი, თბილისის მახლობლად შავნაბადას გადასახვევთან სროლა აუტეხეს უცნობმა პირებმა.

საპასუხო სროლის დროს, რომელიც შავნაბადას ტერიტორიაზე გაგრძელდა, დაიჭრა ორი სამხედრო მოსამსახურე და ერთი მოქალაქე — თბილისელი ოთარ ბურჭულაძე. ორი მოქალაქე — ქუთაისელი ვაჟა კარანაძე და თბილისელი მალხაზ რაზმაძე დაშავდნენ.

სამხედრო მოსამსახურეებმა შავნაბადაზე განლაგებული კორპუსებიდან ამოიღეს სხვადასხვა ცეცხლსასროლი იარაღი — ავტომატები, შაშხანები, პისტოლეტები, აგრეთვე დიდძალი ტყვია-წამალი და ასაფეთქებელი მასალები. გარდა ამისა, ჩამორთმეულია სხვადასხვა ორგანიზაციიდან გატაცებული ოცამდე მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანა.

დაკავებულია 20-მდე სამოქალაქო პირი, რომლებიც ამბობენ, „მხედრიონისა“ და მაშველთა კორპუსის წევრები ვართო.

საქმეს სამხედრო პროკურატურასთან ერთად იძიებენ რესპუბლიკის პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკები.

შავნაბადაზე მომხდარი ინციდენტი ერთხელ კიდევ უჩვენებს, თუ რა შორსმიმავალი, სავალალო შედეგები შეიძლება მოჰყვეს სხვადასხვა უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა არსებობას, ყოველგვარ კონტროლს მოკლებულ მათ საქმიანობას, რომელიც უმეტეს შემთხვევაში მართლწესრიგის ფარგლებს არღვევს, ძაბავს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას რესპუბლიკაში, რომელიც ისედაც დიდი სიძნელეების წინაშეა.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ უკანასკნელ ხანს რამდენჯერმე დაბეჯითებით მიმართა უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა წევრებსა და მათ ხელმძღვანელებს, ნებაყოფლობით ჩაებარებინათ იარაღი მილიციისთვის, ხოლო ვისაც ნამდვილად სურს ერთგულად ემსახუროს საქართველოს და სამართლიანობას, გაერთიანდეს ქართული მილიციის რიგებში. ეს მოწოდება, სამწუხაროდ, დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო ერთხელ კიდევ მოუწოდებს უკანონო სამხედრო ფორმირებათა წევრებსა და მათ ხელმძღვანელებს საზღვარი დაუდონ მოქმედებას, რომელსაც საერთო არა აქვს რა ერის ინტერესებისათვის ბრძოლასთან და მტრის წისქვილზე უშვებს წყალს.

მოვუწოდებთ და პრინციპულად მოვითხოვთ, შეწყვიტონ ყოველგვარი კანონსაწინააღმდეგო მოქმედება, მათ შორის სამხედროებთან კონფლიქტური სიტუაციების შექმნა, რასაც გამოუსწორებელი შედეგები შეიძლება მოჰყვეს მთელი ქართველი ერისათვის.

რა თქმა უნდა, ვერ მოვიწონებთ სამხედროების მიერ შავნაბადაზე განხორციელებულ, თუნდაც საპასუხო აქციას, მაგრამ არც ჩვენ უნდა მივცეთ მათ საბაბი ასეთი მოქმედებისა.

ერთხელ კიდევ მივმართავთ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებს, ნებაყოფლობით ჩააბარონ ცეცხლსასროლი იარაღი მილიციას. ჩვენი ღრმა რწმენით, ერთ ხელში, ქართული მილიციის ხელში უნდა იყოს ყველა ის საშუალება, ყველა ის ძალა, რომელიც საქართველოს, მისი მოქალაქეების თავისუფლებისა და უსაფრთხოების დაცვისათვის არის საჭირო.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო

მორწმუნეთა და ქართული ეკლესიის გულშემატკივართა საყურადღებოდ!

აჭარაში მიმდინარეობს სხალთის მონასტრის აღდგენა. გარდა ამისა შენდება ოთხი ახალი ეკლესია.

ორგანიზაციებსა და კერძო პირებს შეუძლიათ გადარიცხონ თანხა „ივერთბანკში“ შემდეგ ანგარიშზე: სხალთის მონასტერი. მრეწვმშენბანკის საოპერაციო სამმართველო 000161700.
521921 (700137).

მღვდელი გოჩა აბულაძე,
სხალთის მონასტრის წინამძღვარი

ისტორიისათვის

ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული...

საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1924 წლის ოქტომბრის პლენუმის ოქმის ამონაწერის კომენტარი

ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული მოვლენა საქართველოს ისტორიაში, 1924 წლის აჯანყება, სხვადასხვაგვარად შუქდებოდა როგორც ქართულ საბჭოთა, ისე საზღვარგარეთულ ისტორიოგრაფიაში. საქართველოს გასაბჭოების გამო ოფიციალური თვალსაზრისი ასეთია: 1921 წელს საქართველოს პროლეტარიატმა და ხალხის მასებმა ბოლშევიკთა ხელმძღვანელობით მოაწყვეს აჯანყება და დასახმარებლად უხმეს საბჭოთა რუსეთიდან წითელ არმიას, რომელმაც, გაანადგურა და განდევნა რა მენშევიკები, წითელი დროშა აღმართა თბილისის თავზე 1921 წლის 25 თებერვალს. შემდეგ საქართველოში დარჩენილი მენშევიკები გაერთიანდნენ სხვა ანტისაბჭოურ პარტიებთან და შექმნეს ეგრეთ წოდებული „პარიტეტული კომიტეტი", რომლის ხელმძღვანელობით ემიგრაციაში წასულმა მენშევიკურმა მთავრობამ „მოაწყო 1924 წლის ავანტიურა", რომელსაც, თითქოს, ხალხმა მხარი არ დაუჭირა და ამიტომაც დამარცხდა.

ამ თვალსაზრისს სრულიად უარყოფს საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1924 წლის ოქტომბრის პლენუმის ქვემოთ მოყვანილი ამონაწერი. საგულისხმოა თვით ს. ორჯონიკიძის აღიარებანი, რომლებიც ეწინააღმდეგება ოფიციალურ ისტორიოგრაფიას. უწინარეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიეპყროს იმ ფაქტს, რომ ს. ორჯონიკიძე აღიარებს: „1921 წელს შევედით საქართველოში, ჩვენს წინააღმდეგ გამოდიოდა თითქმის მთელი მოსახლეობა" (ფ. 51). მას კრინტიც კი არ დაუძრავს „აჯანყებულ მუშებზე", რომლებმაც დასახმარებლად უხმეს წითელ არმიას, და არც „უკმაყოფილო გლეხებზე", საბჭოთა ხელისუფლებაზე რომ ოცნებობდნენ. ორჯონიკიძე იმასაც აღიარებს, თუ რა მცირე გავლენა ჰქონდა ბოლშევიკურ პარტიას საქართველოში, რომელმაც ვერც ერთი დელეგატი ვერ წარგზავნა სტოკჰოლმისა და ლონდონის ყრილობებზე. ორჯონიკიძე „უბედურებას" უწოდებს იმ ფაქტს, რომ „ქართველი ინტელიგენცია იმდენად მრავალრიცხოვანია, მას შეუძლია მოხელეები მისცეს არა მარტო საქართველოსა და ამიერკავკასიას, არამედ დიდი რაოდენობით გაგზავნოს კიდეც იგი რუსეთში". იგი იქვე აღიარებს, რომ მთელი ეს ინტელიგენცია, ისევე, როგორც საქართველოს მუშები და გლეხები, განწყობილია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ორჯონიკიძე ყოველნაირად ცდილობს დააკნინოს აჯანყებაში ეროვნული საკითხის მნიშვნელობა, შეცვალოს იგი გადასახადების პრობლემებით, რომლებიც ბოლშევიკებმა დააკისრეს მოსახლეობას, მოთხოვნით „იაფ ინგლისურ მანუფაქტურაზე" და ა. შ. მაგრამ საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ აჯანყების ძირითადი მიზეზები იყო საქართველოში გაჩაღებული ანტიქართული და ანტირელიგიური კამპანია, რომელსაც თვით ლენინიც კი გმობდა თავის 1924 წლის „წერილში ყრილობისადმი", სადაც სტალინსა და ორჯონიკიძეს უწოდებდა „რუს დიდმპყრობელურ დერჟიმორდებს" და მოითხოვდა ორჯონიკიძის დასჯას პარტიის ხაზით" (იხ. აგრეთვე ლენინის ბროშურა „ავტონომიზაციის შესახებ"). წითელი არმიის მიერ 1921 წელს საქართველოს ანექსია, მას შემდეგ, რაც 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთმა „დე იურედ" ცნო დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და დადო მასთან ხელშეკრულება, — აი, რამ აღაშფოთა ხალხის მასები საქართველოში და ეს იყო აჯანყების მთავარი მიზეზი.

მაგრამ აჯანყება ცუდად იყო ორგანიზებული. აჯანყების ჭიათურის უჯრედის მიზეზით, რომელიც დანიშნულ ვადაზე ერთი დღით ადრე გამოვიდა (რასაც ორჯონიკიძე უწოდებს „მენშევიკების თავდასხმას ჭიათურაზე"), აჯანყება გააუვნებელყვეს და გაუგონარი სისასტიკით ჩაახშეს. თუმცა ორჯონიკიძე ასახელებს დახვრეტილთა ყალბ რიცხვს (980 კაცი). მას აგრეთვე წამოსცდა და „ნანობს" კიდეც, რომ საქართველოში მოხდა მასობრივი დახვრეტები. მოსრეს მემამულეთა და ინტელიგენციის, სამღვდელოებისა და გლეხობის საუკეთესო წარმომადგენლები.

ზ. გამსახურდია

1924 წლის აჯანყების 67 წლისთავის გამო საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1924 წლის ოქტომბრის პლენუმის ოქმის ამონაწერი ინფორმაცია საქართველოში მომხდარი ამბების შესახებ.

თავმჯდომარე: ახლა გადავდივართ დღის წესრიგის ბოლო პუნქტზე — საქართველოს საკითხზე. მომხსენებელი კომისიიდან, რომელიც პოლიტბიურომ შექმნა და რომლის წევრები საქართველოში იყვნენ, ამხ. სერგოა.

ორჯონიკიძე: ამხანაგებო, უკვე გვიან არის და ამიტომ დიდხანს არ მოგაცდენთ, პირდაპირ შევეხები საქართველოში აგვისტოს დამლევს მომხდარ ამბებს.

28 აგვისტოს დილით მივიღე ცნობა, რომ დილის 4 საათზე ქალაქ ჭიათურას თავს დაესხნენ მენშევიკები 30-40 კაცის ოდენობით, დაიკავეს პარტიული კომიტეტის შენობა და სროლა ატეხეს. გაქცეული კომუნისტები ცალ-ცალკე დააპატიმრეს და დღის ორი საათისათვის ქალაქი მთლიანად მენშევიკთა ხელში გადავიდა.

ტროცკი: რამდენი მოსახლეა იქ?

ორჯონიკიძე: ჭიათურაში სამი ათასამდე კაცი ცხოვრობს.

ტროცკი: კომუნისტი რამდენია?

ორჯონიკიძე: ორმოცზე მეტი არ იქნება. სანამ მენშევიკები ქალაქს საბოლოოდ დაიკავებდნენ, შევძელით ტელეფონით დავკავშირებოდით ალმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს და გავრკვეულიყავით იქ შექმნილ ვითარებაში. დაუყოვნებლივ მივიღეთ შესაბამისი ზომები: იქ გავგზავნეთ კურსანტთა რაზმი, აგრეთვე აეროპლანი დასაზვერად. ღრუბლიანობის გამო უღელტეხილზე აეროპლანმა გადაფრენა მხოლოდ 29 აგვისტოს დილით მოახერხა. ღამის სამი საათისთვის კურსანტთა რაზმი ჭიათურას 5 ვერსზე მიადგა. ამ დროისათვის იქ ჩამოვიდნენ ქალაქების ქუთაისისა და ზესტაფონის კომუნართა რაზმები, რომლებშიც 50-60-მდე კაცი იყო. 29 აგვისტოს დილის 8 საათზე აეროპლანი ქალაქ ჭიათურის თავზე გამოჩნდა. მენშევიკებს იგი ინგლისური ეგონათ და მოსახლეობას არწმუნებდნენ, აეროპლანში ნოე ჟორდანია ზისო, რომლითაც თბილისში ჩამოფრინდაო. აეროპლანი ძირს დაეშვა და ტყვიამფრქვევის ცეცხლი გახსნა, რის შემდეგაც მენშევიკებმა მაშინვე დატოვეს ქალაქი, რაკი დაინახეს, რომ აეროპლანი ინგლისური კი არა, ჩვენი ყოფილა. როცა კომუნართა რაზმი ქალაქში შევიდა, იქ მენშევიკები აღარ იყვნენ. ამ რაიონის სხვა ადგილებში თითქმის არ ყოფილა მეტ-ნაკლებად სერიოზული გამოსვლა. ასე დამთავრდა აქ „ძლევამოსილი, საყოველთაო-სახალხო, შეიარაღებული აჯანყება", რომელიც მენშევიკებმა მოაწყვეს.

29 აგვისტოს დილით კავშირი თბილისთან დასავლეთ საქართველოს, კახეთისა და ვლადიკავკაზის მიმართულებით შეწყვეტილი აღმოჩნდა. განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად კავშირი სწრაფად აღვადგინეთ. თურმე 29 აგვისტოს დილით მენშევიკებს დაუწყიათ გამოსვლები სამეგრელოში (სენაკისა და ზუგდიდის მაზრები), გურიაში (ოზურგეთის მაზრა) და ქუთაისის მაზრის ნაწილში. გამოჩნდა, აგრეთვე, თბილისის მახლობლად, 30 ვერსზე ყოფილი ოფიცერი ცაგურია და გარეკახეთის მოსახლეობას ურჩევდა, გამოსულიყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, არწმუნებდა, თბილისი უკვე მენშევიკების ხელშიაო. ამავე დროს მანგლისთან გამოჩნდა თავადი ჩოლოყაშვილი, ყოფილი მეფის ოფიცერი; გავრცელება იწყო ყოველგვარმა ჭორებმა, თითქოს ჩოლოყაშვილი 600-700 ჩეჩენითა და დაღესტნელით აქეთკენ მოიწევდა, სინამდვილეში კი მას 600-700 კაცის ნაცვლად 60-ოდე კაცი ჰყოლია, რომლებითაც იგი თავს დაესხა ჩვენს ყაზარმებს მანგლისში.

აღმოსავლეთ საქართველოში გლეხების გამოსვლა არ ყოფილა. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, აქ ოზურგეთის მაზრა მთლიანად აღდგა. სენაკის მაზრაში მარჯვე თავდასხმით მენშევიკებმა ხელთ იგდეს მთელი პარტიული და საბჭოთა ზედაფენა და დაიკავეს ქალაქი. გლეხობას, რომელიც ვერ გაერკვა, თუ რა მოხდა, ჩვენს სასარგებლოდ განსაკუთრებული აქტიურობა არ გამოუჩენია, ზუგდიდის რაიონში ჩვენი ამხანაგები მომზადებულნი დახვდნენ, საკადრისი პასუხი გასცეს მენშევიკებს, ქალაქი არ ჩააბარეს და მთელ მაზრაში ფიცხელი ბრძოლა გაუმართეს. ქუთაისის მაზრაში გამოსვლები მოხდა მხოლოდ ორ რაიონში — ბაღდათსა და ვანში; ორივე ამ რაიონში საკმაოდ მრავალრიცხოვანია თავად-აზნაურობა და ვაჭრები. აჯანყების მთავარი წამომწყებნი ისინი იყვნენ.

ამრიგად, 25 მაზრიდან, ავტონომიურ რესპუბლიკებთან ერთად, დიდი გამოსვლა მოხდა მხოლოდ 5 მაზრაში, ამასთან გურიის ერთ, — ოზურგეთის მაზრაში, მას, აშკარად, მასობრივი გლეხური ხასიათი ჰქონდა; სენაკის მაზრაში განწყობილება ვერ გამოიკვეთა, დანარჩენ სამ მაზრაში კი მას მასობრივი ხასიათი არა ჰქონია.

ძირითადად მთელი ეს აჯანყება ლიკვიდირებული იყო სამ დღეში — 30 აგვისტოსათვის დავიკავეთ სენაკი და ამით ბოლო მოეღო აჯანყებას.

აჯანყება ჩაახშეს ბათუმისა და ფოთის მუშათა რაზმებმა, როგორც ქართული, ისე რუსული საჯარისო ნაწილების მხარდაჭერით.

4 აგვისტოს დავაპატიმრეთ აჯანყების ხელმძღვანელები — პარიტეტული კომიტეტი (რომელშიც შედიოდნენ მენშევიკები, ეროვნულ-დემოკრატები და სოციალისტ-რევოლუციონერები; სოციალ-ფედერალისტები და მენშევიკ-ოხივისტები (?) გამოვიდნენ პარიტეტული კომიტეტიდან აჯანყების წინ (თავმჯდომარისა და მდივნის, ყოფილი თავადის, ანდრონიკაშვილის (მენშევიკი), ჯავახიშვილის (ისიც ყოფილი თავადი, ეროვნულ-დემოკრატი) მეთაურობით. აქ აღარაფერს გეტყვით იმაზე, თუ რა გეგმა ჰქონდა ამ კომიტეტს, რომელიც თავის თავს „დამოუკიდებელი საქართველოს კომიტეტს" უწოდებდა. გეგმა საკმაოდ ვრცელი იყო და ითვალისწინებდა აჯანყებას მთელ ამიერკავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიაში...

აჯანყებულთა ლოზუნგები იყო: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, სახელმწიფოს ჩაურევლობა ვაჭრობაში, იაფი საზღვარგარეთული საქონელი. სამეგრელოს ერთ რაიონში. — მიწების თავისუფალი გაყიდვა და ქრისტიანობის აღდგენა. ეს უკანასკნელი მოთხოვნა პასუხია ჩვენს ანტირელიგიურ პოლიტიკაზე, რომელზეც შემდეგ ვილაპარაკებ.

საქართველოს საზოგადოებრიობის ცალკეული ფენების დამოკიდებულება ამ ამბებისადმი ასეთი იყო: მთელი მრავალრიცხოვანი ინტელიგენცია, მცირე გამონაკლისის გარდა, აჯანყებულთა მხარეზე იყო. აჯანყების რაიონებში — აქტიურად, სხვა რაიონებში — არ მალავდა თავის თანაგრძნობას მათდამი. მრავალრიცხოვანი ქართველი თავად-აზნაურობა, რომლის წილი 1.700.000 — 1.800.000 ქართველზე 125-130 ათასია (ანუ მთელი მოსახლეობის 5 პროცენტი), აჯანყებულთა მხარეზე იყო. მრავალრიცხოვანი ოფიცრობა (7500 მეფის ძველი საკადრო ოფიცრობა და ამდენივე ომის დროისა) აჯანყების რაიონებში აქტიურად მონაწილეობდა მასში, სხვა რაიონებში, რა თქმა უნდა, უარს არ იტყოდა ასევე აქტიურ მონაწილეობაზე, თუ გამოსვლას წარმატება ექნებოდა.

თუ დასავლეთ საქართველოში პარიტეტულმა კომიტეტმა შეძლო მოძრაობისათვის მასობრივი ხასიათი მიენიჭებინა, სამაგიეროდ აღმოსავლეთ საქართველოში ვერ მოახერხა გლეხთა პროვოცირება, ამასთან ყოველივე ეს უექსცესებოდ არ დამთავრებულა.

ბუხარინი: ინიციატივა კი ვისი იყო?

ორჯონიკიძე: ინიციატივა, რა თქმა უნდა, ჩვენ გვეკუთვნოდა და არა მენშევიკებს. როცა მენშევიკებმა აჯანყებისაკენ მოუწოდეს, ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიმართა გლეხობასა და მთელ მშრომელ მოსახლეობას არ აჰყოლოდა თავად-აზნაურთა პროვოკაციას და ისინი კეტებით გაერეკათ.

ტროცკი: ეს მენშევიკური რეზოლუციის შესწორებაა?

ორჯონიკიძე: დიახ, ამხანაგო ტროცკი, ეს მენშევიკური რეზოლუციის „მცირე შესწორებაა".

მოლოტოვი: მოუწოდებდნენ არა თიხის ქოთნების, არამედ თავად-აზნაურთა თავების მსხვრევას.

ორჯონიკიძე: დიახ, ამხანაგო მოლოტოვ. იყო თუ არა ყოველივე ეს ჩვენთვის მოულოდნელი? მოლოტოვს მიაჩნია, რომ ყოველივე ეს ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი იყო, რომ ჩვენ გვქონდა ცნობები ჩეკისტური ხაზით, მაგრამ არავითარი ცნობა საბჭოთა და პარტიული ხაზით არა ყოფილა, რომ ეს ადასტურებს ჩვენი პარტიის მოწყვეტას უპარტიო გლეხთა მასებისაგან.

ზალუცკი: არც უმაგისობაა...

ორჯონიკიძე: უმაგისობა რომ არ არის, ამას არ უარვყოფ. არც ჩვენი შეცდომების უარყოფასა და მიჩქმალვას ვაპირებ, მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ მენშევიკთა გამოსვლის შესაძლებლობა ჩვენთვის მოულოდნელი არა ყოფილა. ჩვენ, როგორც პარტიული, ისე ჩეკისტური ხაზით სულ მუდამ ვიღებდით ცნობებს, რომ გამოსვლები მზადდებოდა. გამოსვლას მენშევიკები ამზადებდნენ 26 მაისისათვის და მაშინ მთელი პარტია ფეხზე დავაყენეთ. მაგრამ გამოსვლა მათ ვერ მოახერხეს, რადგან ჩვენს მიერ განხორციელებულმა დაპატიმრებებმა ხელი შეუშალეს ამას. შემდეგ გამოსვლას 15 აგვისტოსათვის აპირებდნენ: ასევე მივიღეთ ზომები. როცა გაზაფხულზე გამოსვლა მზადდებოდა, სენაკელმა ამხანაგებმა ხარალი მასობრივად ჩამოართვეს ხუთასამდე კაცს და დააპატიმრეს ისინი, მაგრამ შემდგომში გაათავისუფლეს. ახლანდელი აჯანყების დროს კი ყველა მათგანმა მიიღო მონაწილეობა გამოსვლაში. მთელი პარტია, მაისის დამლევიდან მოყოლებული, დაძაბულ მდგომარეობაში იყო. ჯუღელის დაპატიმრებამ ხელი შეუშალა 15 აგვისტოს გამოსვლას. ჯუღელის შემდგომი გამოსვლა საგანგებო კომისიაში, მისი წერილი მენშევიკთა ცენტრალური კომიტეტისადმი, საფუძველს გვაძლევდა გვეფიქრა, რომ მენშევიკები ვეღარ მოახერხებდნენ აჯანყების დაწყებას. თუ ჯუღელისა და ჩხიკვიშვილის ჩამოსვლამდე (ამ უკანასკნელს დაპატიმრების დროს ჩამოერთვა ნოე ჟორდანიას წერილი აჯანყების გეგმითურთ) ჩვენ ჯერ კიდევ ეჭვი გვეპარებოდა მენშევიკთა იმ ცდების შესაძლებლობაში, რომ მოაწყობდნენ გამოსვლას, ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, არავითარი ეჭვი აღარ გვქონია. მახსოვს, მოსკოვში მეკითხებოდნენ ამხანაგები — კამენევი, სტალინი და სხვები, როცა ზაფხულში გამოვაქვეყნეთ ნოე ჟორდანიას წერილი აჯანყების შესახებ, თუ როგორ ვეკიდებოდით ამ შესაძლებლობებს. მაშინ იმ ამხანაგებს ვუთხარი, რომ ჩვენს წინააღმდეგ მასობრივ გამოსვლებს მენშევიკები ვერ შეძლებენ, მაგრამ იმას კი მოახერხებენ, რომ სამიოთხი ათეული კაცის მკვლელი შეკრიბონ საქართველოს სხვადასხვა ნაწილში, თავს დაესხან და ხელთ იგდონ სამაზრო ქალაქი ამა თუ იმ რაიონში ერთი-ორი დღით — ეს არა მგონია შეუსრულებელი ამოცანა იყოს-მეთქი. ამრიგად, ჩვენთვის აქ მოულოდნელი გამოდგა არა მენშევიკების გამოსვლა, არამედ ამ გამოსვლის მასშტაბი. რა თქმა უნდა, მართალია ამხ. მოლოტოვი, როცა ამას იმით ხსნის, რომ საკმარისი კავშირი არა გვაქვს გლეხთა მასებთან. მაგრამ აქ არის თავისებური ქართული პირობები, რომლებიც მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს.

1921 წელს ჩვენ შევედით საქართველოში ისე, რომ ჩვენს წინააღმდეგ განწყობილი იყო მენშევიკების მიერ დაშინებული და პროვოცირებული თითქმის მთელი მოსახლეობა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართველი გლეხობა და ქართველი მუშები 20 წლის მანძილზე მენშევიკური პარტიის გამუდმებულ გავლენას განიცდიდნენ. ჩვენსა და მენშევიკებს შორის დავა ჯერ კიდევ 1904-1905 წლებში გადაწყდა მენშევიკთა სასარგებლოდ: იმ დროს, როცა ჩვენ მაშინ იქ წარმოვადგენდით ათეულებს, სულ ბევრი, ასეულებს, — მენშევიკები თავიანთ რიგებში აერთიანებდნენ პარტიის, სულ ცოტა, 15.000 წევრს. მაშინ, როცა ჩვენი პარტიის ვერც სტოკჰოლმის, ვერც ლონდონის ყრილობაზე ვერ გავგზავნეთ საქართველოსაგან ვერც ერთი დელეგატი, მენშევიკებს ლამის ოცი დელეგატი ჰყავდათ. ამ დელეგატებს შორის გურიის ორგანიზაციისაგან უცვლელები იყვნენ პლეხანოვი და აქსელროდი. 1920 წელს მენშევიკური პარტიის ყრილობაზე, რომელიც გაიმართა ივნისში, წარმოდგენილი იყო 60.000 წევრი. თბილისსა და მაზრაში იყო 12.000, ხოლო ჩვენთან 1921 წელს 500-ზე მეტი არც იყო, ამჟამად კი ლენინური გაწვევის კანდიდატებთან ერთად — დაახლოებით 6.000-ია. ოზურგეთის მაზრაში (გურიაში) მათ ჰყავდათ 8.600, ხოლო ჩვენ — 1921 წელს, არა უმეტეს 600-700, ხოლო ამჟამად — 1.200. სენაკის მაზრაში მათ ჰყავდათ 4.000 ჩვენ კი — 1921 წელს სულ ბევრი 600, ამჟამად გვყავს დაახლოებით 1000. ზუგდიდის მაზრაში მათ ჰყავდათ 5.357, ჩვენ 1921 წელს — სულ ბევრი 300-400, ამჟამად — დაახლოებით 500. სამ მაზრაში — ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის მაზრებში მენშევიკებს 1920 წელს ჰყავდათ 18.000 წევრი, ჩვენ კი 1921 წელს სულ ბევრი 1.600 — 1.700, ხოლო ამჟამად 2.400: როგორც ხედავთ, ძალთა თანაფარდობა სულაც არ ყოფილა ჩვენს სასარგებლოდ.

აქვე უნდა დავსძინოთ, რომ საქართველოში უაღრესად შეგნებული გლეხობაა და ყოველი მეტნაკლებად გავლენიანი და შეგნებული გლეხი რომელიმე პარტიის წევრია. უპარტიო, გავლენიან გლეხებს გურიაში ძნელად თუ იპოვი. და აი, ამ სამწლეიწად-ნახევრის მანძილზე ვერ განვამენშევიკეთ გურიის გლეხობა, მაშინ როცა შევძელით საფუძვლიანად განგვემენშევიკებინა თბილისელი, ბათუმელი და საერთოდ საქართველოს მუშები. და ეს, მიუხედავად იმისა, რომ თბილისის რკინიგზის სახელოსნოები 20 წლის მანძილზე მენშევიკთა ბატონობის ბურჯი იყო. აქედან, ამ სახელოსნოებიდან, უმთავრესად, ჩამოაყალიბეს თავიანთი სახალხო გვარდია მენშევიკებმა. იგივე მუშები 1921 წელს მასობრივად გამოეხმაურნენ მენშევიკთა მთავრობის მოწოდებას შიშხანებით ხელში გამოსულიყვნენ ჩვენს წინააღმდეგ მენშევიკებზე ჩვენი შეტევის დროს.

არ მოვყვები საუბარს ჩვენი საბჭოთა აპარატის ნაკლოვანებებზე. ვიტყვი მხოლოდ, რომ ჩვენთან იგი არ არის უკეთეს მდგომარეობაში იმასთან შედარებით, რომელზეც მიუთითებდა ამხ. მოლოტოვი, როცა ეხებოდა საერთოდ სოფელში ჩვენი საბჭოთა აპარატის მდგომარეობას. მეტსაც ვიტყვი: საკმარისად ბევრი სისულელე ჩავიდინეთ ამ მიმართულებით. სოფლის პარტიულ უჯრედებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია: ისინი, როგორც უჯრედები, არ არსებობენ. კომუნისტები თითო-თითოდ გაბნეულნი არიან ცალკეულ სოფლებში და ძალიან იშვიათად აწყობენ თავიანთი უჯრედების კრებებს. დარაიონება, რომელიც ჩვენ განვახორციელეთ, არათუ არ დამკვიდრდა ჩვენში, არამედ მოსწყვიტა გლეხი საბჭოთა ხელისუფლებას, დააშორა იგი ხელისუფლებას. სასოფლო საბჭოები გადაიქცნენ დაწესებულებებად, რომლებიც არავის არ სჭირდება და უმაქნისია. დავუშვით აგრეთვე უაღრესად უხეში შეცდომა ეკლესიის საკითხში, დროზე ვერ გადავუხადეთ გლეხებს პარკისთვისაც და ა. შ. მაგრამ ეს არ არის ის მიზეზები, რომლებმაც გურიის გლეხობა აიძულა გაელაშქრა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენთან ხომ სხვა მაზრებშიც არ არის უკეთესი მდგომარეობა, ვიდრე გურიაში. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ სენაკის და გურიის მაზრები უზრუნველყოფილნი იყვნენ უფრო ძლიერი მუშაკებით, ვიდრე სხვა მაზრები. მიუხედავად ამისა, აქ თავი შევირცხვინეთ, ხოლო სხვა მაზრებში აჯანყებანი არ მომხდარა. ძირითადი მიზეზი აქ ეკონომიკაა. აღმოსავლეთ საქართველოს გლეხებმა საბჭოთა ხელისუფლებისაგან მიიღეს თავად-აზნაურთა მიწა, დასავლეთ საქართველოს ნაწილის გლეხებმა აგრეთვე მიიღეს მიწა საბჭოთა ხელისუფლებისაგან. სენაკის მაზრაში კი იგი ძალზე ცოტა აღმოჩნდა, ხოლო ოზურგეთისაში სრულიად არ აღმოჩნდა.

გურიის გლეხებმა თავიანთ თავადაზნაურობასთან დავას ბოლო მოუღეს ჯერ კიდევ 1905-1906 წლებში. ისინი, მაშინ, ჯერ კიდევ, არა მარტო ართმევდნენ მიწას თავად-აზნაურებს, არამედ ფიზიკურადაც სპობდნენ მათ. გურიის გლეხობა ყველაზე ღატაკია, მაგრამ ყოველთვის ცხოვრობდა გარესამუშაოთი. გურულებით სავსე იყო ყველა ჩვენი ნავსადგური, ბათუმიდან ოდესამდე. იყო იაფი ინგლისური მანუფაქტურა. ამ იაფი ინგლისური მანუფაქტურის ამბავი გურულს გაგონილი კი არა აქვს, არამედ მას იღებდა არა მარტო მენშევიკების დროს, არამედ ჩვენს დროშიც, საქართველოს გასაბჭოების პირველ წელს. ახლა იგი აღარ არის, ჩვენი კი ცოტაა და ძვირი. სავსებით მართალია ამხ. სტალინი, როცა ამბობს, რომ კონტრაბანდული გზით მოპოვებული მანუფაქტურა სამჯერ-ოთხჯერ უფრო იაფია ჩვენსაზე. მენშევიკები გადასახადს არ ახდევინებდნენ გლეხს, ჩვენ კი ვახდევინებთ და საკმაოდაც.

ტროცკი: არსებობს მთელი ხნის განმავლობაში?

ორჯ.: მენშევიკების დროს. ისინი ცხოვრობდნენ თბილისში კავკასიის ფრონტიდან დარჩენილი ქონებით და ძალზე დიდი ქონებითაც. რა თქმა უნდა, ისინი რომ არ გაგვერეკა 1921 წელს, დაიწყებდნენ გადასახადების აღებას გლეხებისაგან. მაგრამ ეს მათ, დროს არ ყოფილა.

ხმა: არაპირდაპირი გადასახადები?

ორჯ.: არაპირდაპირ გადასახადებს, რა თქმა უნდა, იღებდნენ. აი აქ უნდა ვეძებოთ ოზურგეთის მაზრის გლეხთა შორის ჩვენი წარუმატებლობის მიზეზი და აქ ვერავითარი სხვა ზომებით მკურნალობას ვერ მოვახერხებთ, გარდა ეკონომიკური ზომებისა. გურიის გლეხს მარტო აგიტაციით და პროპაგანდით ვერ გადმოიბირებ, აგიტატორები ბევრი უნახავს, თვითონ წაუკითხავს ლენინიც, პლეხანოვიც და კაუცკიც. გურიას მრავალრიცხოვანი ინტელიგენცია ჰყავს. გურიაში სოფელი არ არის, სკოლა რომ არ იყოს და, მაშასადამე, რომ არ იყვნენ მასწავლებლები. ეს მასწავლებლები კი ან მენშევიკები არიან, ან სოციალისტ-ფედერალისტები. უპარტიო მასწავლებელი გურიაში იშვიათი მოვლენაა. გურიაში გვყავს 90 პროცენტი წერა-კითხვის მცოდნე, თუ არა მთელი 100 პროცენტი. სამეგრელოში ჩვენი მოწინააღმდეგეების წარმატების მიზეზი უნდა ვეძებოთ სამეგრელოს გლეხობის ეკონომიკურ მდგომარეობაში. სამეგრელოს გლეხობა სიმინდით ცხოვრობს. სამეგრელო მთელი დასავლეთ საქართველოს ბეღელია. მენშევიკების დროს, როცა პური არ შემოგვქონდა, მეგრულს სიმინდი დიდად ფასობდა. ჩვენ დროს კი ქალაქები სიმინდს აღარ ხმარობენ და ძალიან ხშირად გლეხიც ყიდულობს ხორბლის პურს. საშინლად გაიაფდა სიმინდი და სამეგრელოს გლეხებს ვერაფერი ვერ უყიდიათ თავიანთი სიმინდით. მათ ურჩევნიათ ის ხელისუფლება, რომლის დროსაც მეტს უხდიდნენ სიმინდში.

როგორი იყო ეროვნული საკითხის როლი ამ აჯანყებაში? აჯანყება დაიწყო „დამოუკიდებელი საქართველოს" დროშით, „რუსების გაძევებისა" და საქართველოს „რუსების ჩაგვრისაგან განთავისუფლების" ლოზუნგით. აქ უნდა გითხრათ, რომ ჩვენმა ეროვნულმა პოლიტიკამ გაუძლო გამოცდას. ჩვენმა ავტონომიურმა რესპუბლიკებმა და ოლქებმა (აჭარამ, აფხაზეთმა, სამხრეთ ოსეთმა) და არაქართველი მოსახლეობის რაიონებმა არ ისარგებლეს აჯანყებით სეპარატისტული მიზნებისათვის. ...პირიქით, აჭარამ დააყენა 1.500 უპარტიო აჭარელი თურქეთის საზღვარზე ყოველგვარი პროვოკაციის აღკვეთის მიზნით. ...მაგრამ თავის მოტყუება იქნებოდა, შემდეგი სიმართლე რომ დაგვემალა.

როცა ეროვნული საკითხი გადაიჯაჭვება იაფ ინგლისურ მანუფაქტურასთან და კარგ შემოსავალთან, მისი წარმოების პროდუქტების კარგ ფასთან, მაშინ ქართველი გლეხი, როგორც ეს მეგრელებმა და გურულებმა გვიჩვენეს, მზად არის ჩვენი წითელი დროშა გაცვალოს ეროვნულ დროშაზე, რადგან ეს მას ჰპირდება იაფ მანუფაქტურას, გლეხური მეურნეობის პროდუქტების მაღალ ფასს და კარგ შემოსავალს. და აქ, ერთხელ კიდევ მოტყუებული რომ არ აღმოვჩნდეთ, საკითხს ამ მხრიდანაც უნდა მივუდგეთ და რადაც არ უნდა დაგვიჯდეს გადავჭრათ.

მრავალრიცხოვანი ქართველი ინტელიგენცია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგია, შოვინისტურია, არმენოფობურად არის განწყობილი. ...თბილისში თავის კონკურენტად მას მიაჩნია სომეხი და რუსი ინტელიგენცია. მას სურს მენშევიკთა ხელისუფლება, იმედოვნებს, რომ მენშევიკები გააძევებენ სხვა ეროვნებათა ინტელიგენციას და ქართველი ინტელიგენტი გახდება სამოხელეო და საზოგადოებრივი ადგილების მონოპოლისტი. სომეხ და ქართველ ინტელიგენციას შორის ბრძოლა დღევანდელი დღის ბრძოლა არ გახლავთ. ამ ბრძოლას თავისი ძველი ისტორია აქვს. ახლა არ შევეხები მას. აქ საკითხის გადაჭრა უფრო ძნელია. თბილისი, სადაც უმთავრესად ხდება ეს ბრძოლა, მარტო ქართველებით როდია დასახლებული. აქ 37 პროცენტი სომეხია, 35 პროცენტი — ქართველები, დანარჩენები — რუსები და სხვა ეროვნებანი. 1917 წელს აქ იყვნენ 37 პროცენტი სომხები, ქართველები — მხოლოდ 25 პროცენტი. რა თქმა უნდა, ლაპარაკიც კი არ შეიძლება სომხების, ან რუსების განდევნაზე. ჩვენი პარტია თანამიმდევრულად ახორციელებს XII ყრილობის გადაწყვეტილებას ეროვნულ საკითხზე, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ქართველი ინტელიგენცია იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ მას შეუძლია ჩინოვნიკებით უზრუნველყოს არა მარტო საქართველო და მთელი ამიერკავკასია, არამედ შეუძლია მისი დიდი რაოდენობით ექსპორტირება რუსეთშიც. პარტია, რომელიც დაუნდობელ ომს ეწევა სომეხ-ქართველი ინტელიგენციის შოვინიზმის წინააღმდეგ, აბამს მას, რამდენადაც შეუძლია, საზოგადოებრივ და საბჭოთა ორგანიზაციებში.

რამდენიმე სიტყვა ჩვენს საქართველოს პარტიაზე. როგორ შეხვდა იგი ამ ამბებს და გაუძლო თუ არა გამოცდას? ჩვენი პარტია საქართველოში უმეტესწილად გლეხურია. ლენინურ გაწვევამდე მუშები მასში იყო მხოლოდ 20 პროცენტი. ლენინურმა გაწვევამ რამდენადმე გაზარდა მუშათა პროცენტი, მაგრამ ბევრად არა. როგორც უკვე ვთქვი, პარტიული ამხანაგები, თითო-თითოდ არიან გაბნეული სოფლებში. ხშირად ნახავთ სოფელში ერთსა და იმავე ოჯახში ბოლშევიკსა და მენშევიკს. ...აი, ამხანაგებო, ასეთია სინამდვილე.

ბუხარინი: და ეს ხდება პარტიულ ქვედა ფენებში, თუ აგრეთვე ზედა ფენებშიც?

ორჯ.: ჩვენდა სამწუხაროდ, ზედა ფენებშიც არის ნათესაური კავშირი ანტისაბჭოურ ელემენტებთან, რომელიც დღემდე არ არის გაწყვეტილი.

ბუხარინი: სად დააპატიმრეს ჯუღელი?

ორჯ.: ჯუღელი დააპატიმრეს ქუჩაში. გურიაში, სოფლებში თითო-თითოდ გაბნეულ კომუნისტებს შორის მენშევიკებმა დააპატიმრეს დაახლოებით 600 ბოლშევიკი. იგივე მოხდა სენაკის მაზრაში. საქართველოში დარჩენილი დაუპატიმრებელი კომუნისტები კარგად იქცეოდნენ. იგივეა ზუგდიდისა და ქუთაისის მაზრებში. საერთოდ პარტიამ მთლიანად გაუძლო გამოცდას.

ორი სიტყვა რეპრესიებზე. ამაზე ბევრს ლაპარაკობენ, და ლაპარაკობენ ყოველგვარ სისულელეს. ამბობენ, რომ დახვრიტეს 3-5 ათასი კაცი. და ა. შ. სამწუხაროდ, ამაზე აქ, მოსკოვში ლაყბობენ ქართველი კომუნისტები. თუმცა მშვენივრად იციან, რომ ეს სისულელეა. აჯანყების ჩახშობის დროს სულ დახვრეტილი და მოკლულია 980 კაცი. მათგან, ყოველ შემთხვევაში 95 პროცენტი თავად-აზნაურები არიან.

ტროცკი: ჩვენი დანაკარგები რამდენია?

ორჯ.: 150 კაცი. პოლიტბიურომ შეგვახურა იმისთვის, თითქოს არ გაგვეთვალისწინებინოს საქართველოში აჯანყების საერთაშორისო მნიშვნელობა და მიგვემართოს მასობრივი დახვრეტებისათვის. როგორც ჩანს, ეს საყვედური მართებულია. სწორია, ჩვენ მხედველობიდან არ ვუშვებდით საერთაშორისო ვითარებას, მაგრამ გვეგონა, რაც უფრო სწრაფად ჩავახშობდით და არ მივცემდით საშუალებას სხვა რაიონებზე გავრცელებულიყო აჯანყება, მით უკეთესი იქნებოდა ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობისათვის. სრულიად აუცილებლად მიგვაჩნდა მენშევიკური ავანტიურის გადაჭრით და მტკიცედ ლიკვიდაცია. ვრცელდებოდა უაზრო ჭორები ბათუმსა და ფოთში ინგლის-საფრანგეთის დესანტის, ამიერკავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიაში საყოველთაო აჯანყების, მოსკოვში ტროცკისა და რიკოვის მკვლელობის, თბილისში ნ. ჟორდანიას ჩამოსვლის შესახებ და ა. შ. პირველ დღეებში, როცა არც ერთი დახვრეტა არ ყოფილა, რეპრესიების გამოუყენებლობას მენშევიკები განმარტავდნენ, როგორც ჩვენს უღონობას. ასეთ ვითარებაში მივმართეთ მასობრივ დახვრეტებს. იქნებ ცოტა გადავაჭარბეთ, მაგრამ ამას ახლა რაღა ეშველება.

ტროცკი: ტყვედ აყვანილებს ხვრეტდნენ მენშევიკები?

ორჯ.: არა, ისინი ტყვედ აყვანილებს არ ხვრეტდნენ, ეტყობა ითვალისწინებდნენ, რომ, თუ არ დახვრეტენ, ამით უფრო იოლად შეიტანენ დეზორგანიზაციას ჩვენს რიგებში. ...ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება საჭიროდ მიგვაჩნია, ჩამოთვლილია კომისიის თეზისებსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 4-7 სექტემბრის პლენუმის რეზოლუციაში. ისინი დარიგებული გაქვთ. წაკითხვა აუცილებელი არ არის. ამ რეზოლუციაში აბსოლუტურად საჭიროდ მიგვაჩნია ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ყურადღება მივაპყროთ ეკონომიკურ ღონისძიებებს. მთელი პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, რომ... ადვილად ვერ გავართმევთ თავს მენშევიკურად განწყობილ გლეხობას. ამით ვამთავრებ.

თავმჯდომარე: თუმცა ჩვენ შევეხეთ საქართველოს საკითხს სოფლის შესახებ ზოგად საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ იქნებ ვინმეს სურს გამოთქვას აზრი ახლა. არ არიან მსურველები? არის ამხ. კვირინგის წინადადება რეზოლუცია მივიღოთ საფუძვლად. კენჭს ვუყრი, რომ კამათის გარეშე გადავიდეთ რეზოლუციის განხილვაზე. ვინ უჭერს მხარს ამ წინადადებას? უმრავლესობა. ვინ არის წინააღმდეგი? ცოტა. რეზოლუციას ამხანაგები გაეცნენ? ვინ არის მომხრე, რომ საფუძვლად მივიღოთ იგი? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. იგი მიღებულია საფუძვლად. საბოლოო რედაქტირება და მისგან გამომდინარე კონკრეტულ ღონისძიებათა მიღება განსახილველად გადაეცეს პოლიტბიუროს. სხვა წინადადებანი არ არის?

ტროცკი: ოღონდ არა რედაქტირება. ვფიქრობ, იქ შეიძლება იყოს დამატებანი და ცვლილებანი.

თავმჯდომარე: მაშინ ვიტყვით არა „რედაქტირებას", არამედ „საბოლოო განხილვას". მიღებულია. ამით ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დღის წესრიგი ამოწურულია. პლენუმს დახურულად ვაცხადებ.

თვალსაზრისი

დემონოპოლიზაცია

მივედით დასკვნამდე, რომ ბრძანებლურ-განმანაწილებელი ეკონომიკა უნდა შეიცვალოს საბაზრო ეკონომიკით. ეს ნაბიჯი კი მოასწავებს მთელი სამეურნეო მექანიზმის ღრმა სტრუქტურულ გარდაქმნას. რას წარმოადგენს იგი ამჟამად? ეს არის პირამიდა, რომლის მწვერვალსაც დარგობრივი სამინისტროები ქმნიან. შემდგომი ქვედა — მეორე ფენაა ჩვენი „ძველი" ეკონომიკა — ტრადიციული სახელმწიფო საწარმოებითა და გაერთიანებებით, კოლმეურნეობებით და საბჭოთა მეურნეობებით, კოოპერატივებით. უფრო ქვემოთ მესამე ფენაა — „ახალი" ეკონომიკა: ახლახან შექმნილი კოოპერატივები, სიჯარო და სააქციონერო საწარმოები, საოჯახო ფერმები და საწარმოები, ინდივიდუალები და ბოლოს ყველაზე ნაკლებად დაცული მეოთხე ფენა — დაქირავებული მუშები და მოსამსახურეები, ამრიგად, სახეზეა მმართველობის იერარქიული ვერტიკალური კონსტრუქცია, რომელშიც ხელისუფლება ფუნქციონირებს ზემოდან ქვემოთ.

ბაზარი კი, რომლისაკენაც ჩვენ მივისწრაფვით, ესაა ჰორიზონტალური კონსტრუქცია, სადაც მოქმედებენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, თანაბარუფლებიანი სამეურნეო სუბიექტები — ფირმები და მოქალაქეები. ჩვენთან, ეკონომიკური ძალაუფლება თავმოყრილია სამინისტროს ბიუროკრატიის ხელში და ნაწილობრივ უპყრია მეორე ფენას — „ძველ" ეკონომიკას.

ვინ არის ჩვენთან მონოპოლისტი და როგორ შეიძლება ჩამოერთვას მას ეს მონოპოლია?

ამჟამად, ფონდების განმანაწილებლის სახით მონოპოლისტებად გამოდიან ჩვენი სამინისტროები, რომლებიც მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებზე ბატონობენ. სამინისტროები ყველაზე ძლიერნი არიან დარგობრივი მონოპოლისტების სამყაროში.

„ძველი" ეკონომიკის საწარმოები, როგორც დეფიციტის განმანაწილებლები, მონოპოლიურად ბატონობენ კოოპერატივებზე, არენდატორებზე და ფერმერებზე. საბოლოო ჯამში, ყველაზე უუფლებონი ქვედა ფენებია — „ახალი" ეკონომიკა და დაქირავებული მუშა ხელი.

ცნობილია, რომ როგორც პოლიტიკაში, ისე ეკონომიკაშიც ადგილებზე ხელისუფლების დემონოპოლიზაცია ვერ განხორციელდება მისი გადაცემის გარეშე. პოლიტიკაში პირველი ნაბიჯები დემონოპოლიზაციის მხრივ უკვე შეიმჩნევა. იწყება პოლიტიკურ ძალთა თავისებური შეჯიბრი. ეკონომიკაში კი დემონოპოლიზაციის საკითხი სამეურნეო ბიუროკრატიის მტკიცე წინააღმდეგობის გამო, მუდმივად უკანა პლანზეა. ეკონომიკური ხელისუფლების დემონოპოლიზაციის გარეშე კი მთელ მმართველობით პირამიდაში, და განსაკუთრებით „ძველი" ეკონომიკის სფეროში არავითარი ბაზარი არ გამოვა. მაგალითად, იუგოსლავიაში, თვით იუგოსლაველი სპეციალისტების აზრით, 40 წლიანი მოძრაობა ბაზრისაკენ, ნაკლებ ეფექტური აღმოჩნდა, რადგან წინ არ ეღობებოდნენ ეკონომიკის მონოპოლიზაციას. დასავლეთში, ეს დიდი ხანია შეიგნეს და შექმნეს ეკონომიკური ხელისუფლების მონოპოლიზაციის საწინააღმდეგო მექანიზმები, როგორც სახელმწიფო აპარატში, ასევე კერძო სექტორში.

ვფიქრობთ, ბაზარზე გადასვლისას ჩვენი მეურნეობრიობის პირამიდა აუცილებლად უნდა დაინგრეს და მათი ადგილი დაიკავოს წარმოების ორგანიზაციულ ფორმათა თავისუფლებამ, თანასწორუფლებიანმა კავშირებმა. პირამიდის პირველი ფენა — დარგობრივი სამინისტროები უნდა გაუქმდეს და სანაცვლოდ შეიქმნას მომარაგებითი უფლებამოსილების მექანიზმი.

პირამიდის ქვედა ფენების უფლებები უნდა გათანაბრდეს და ერთმანეთს შორის გადაადგილდეს. ამ ქაოსიდან ბაზარი ერთი პირობით შეიძლება აღმოცენდეს — თუ გაუქმდება უამრავი ძველი და გნებავთ ახალთან შექმნილი თუ გადაკეთებული უამრავი მონოპოლისტი საწარმო, კონცერნი და გაერთიანება. თუ ეს არ გაკეთდა, მაშინ გვექნება არა თავისუფალი კონკურენციული ბაზარი, არამედ მონოპოლიზირებული, არა თავისუფალი, არამედ მძარცველური, სოციალურად საშიში ფასები.

ამჟამად კი, როდესაც დაწესებულია სახელმწიფო მონოპოლიური კონტროლი ფასებზე, საწარმოებმა უამრავი ხერხი გამონახეს ფასების გასაბერად (სამეურნეო ანგარიშიც კი გამოიყენეს) და იაფი პროდუქციის გასაქრობად, დეფიციტური ეკონომიკის შესაქმნელად. სახელმწიფო სადავეები ისეა მოშვებული, რომ ფასების შემდგომ, მნიშვნელოვან ზრდას ვეღარაფერი შეაჩერებს. ინფლაციის ხაზით მოსალოდნელია ყველა დროის არნახული რეკორდის დამყარება. „ძველი" ეკონომიკის საწარმოთა მონოპოლისტები, რომლებიც მთლიანი პროდუქციის ნახევარზე მეტს იძლევიან და რომლებიც უფრო მძლავრნი არიან როგორც მატერიალურად, ასევე კადრების მხრივ, თავიანთ უმცროს პარტნიორ-კონკურენტებს ცხადია დაჩაგრავენ და ხელს შეუშლიან ახალ საწარმოთა შექმნაში. ასეთ ვითარებაში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის უზრუნველსაყოფად, საჭიროა შეიქმნას „ძველი" ეკონომიკის დემონოპოლიზაციის მექანიზმი, ხოლო შემდგომ „ახალი" ეკონომიკისაც. უნდა შეიქმნას კონკურენციის დაცვის მექანიზმიც. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ფედერალურ დონეზე არსებობს იუსტიციის სამინისტროს ანტიტრესტული სამმართველო, სამინისტროსაგან დამოუკიდებელი ფედერალური სავაჭრო კომისია (ამერიკის კონგრესის ორგანო) და პლუს — უაღრესად ავტორიტეტული მოსამართლეები.

ჩვენში მონოპოლიები უნდა აიკრძალოს, არსებული კი გაუქმდეს (თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელი და სასურველია) მათი ნაწილი უნდა დაიშალოს და წვრილ ერთეულებად იქცნენ. ზოგიერთი ქვედანაყოფები სასურველია ცალკე გამოიყვნენ, სხვა საწარმოებს გადაეცენ ან დამოუკიდებელნი გახდნენ. ასევე უნდა მოვექცეთ ახლად გამომცხვარ კონცერნებს და სხვა გაერთიანებებს, რომლებიც სამინისტროთა ყოფილი მთავარი სამმართველოების სანაცვლოდ მოგვევლინა და პროდუქციის ცალკეულ სახეობათა წარმოების ახალ მონოპოლისტებად იქცნენ. საბოლოოდ, ჯერ კიდევ პრივილეგირებულ მეორე ფენის ადგილზე უნდა შეიქმნას დარგთა უფრო დანაწევრებული სტრუქტურა, რომლებიც მსხვილ, საშუალო და წვრილ საწარმოებს მოიცავს (აქედან ზოგი ანტიმონოპოლიურ კონტროლს დაექვემდებარება).

ამასთან, საჭიროა შემუშავდეს საკუთრების, კოოპერაციის, არენდის და მიწის შესახებ კანონთა ცხოვრებაში გატარების საგანგებო მექანიზმი, რათა „ახალი" ეკონომიკა ფეხზე დადგეს და „ძველის" ძლიერი კონკურენტი გახდეს. ახალი კანონებისადმი წინააღმდეგობის გაწევა უჩვეულოდ ძლიერია. ფაქტიურად ისინი ცხოვრებაში არ ტარდება, რადგან ადგილობრივი ბიუროკრატია „ძველი" და ჩრდილოვანი ეკონომიკა მტრულად ხვდება ამას. ხოლო ახალი მეწარმეობის დამცავი მექანიზმი არ არის. მაშინ როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს საკითხები წყდება ფედერალურ დონეზე არსებულ სპეციალურ დაწესებულებაში — მცირე ბიზნესის ადმინისტრაციაში.

ყველგან საჭიროა შეიქმნას ახალი მექანიზმები, ახალი ორგანოები, რომელთაც საკმაოდ ძლიერი, შესაძლოა საგანგებო უფლებებით აღჭურვილი ახალი ხელმძღვანელობა ეყოლოთ. უამისოდ არაფერი გამოვა. მაგალითად, განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ გარდატეხის პერიოდებში ყოველთვის საჭირო ხდებოდა სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის გარდაქმნა. ამის ნათელი მაგალითია ამერიკის შეერთებულ შტატებში ფრანკლინ რუზველტის პრეზიდენტობის ორი ვადის პერიოდში ხელისუფლების აპარატის რეორგანიზაცია იმ მიზნით, რომ ქვეყანა მძიმე ეკონომიკური კრიზისიდან გამოეყვანა.

ჩვენში ამჟამად უნდა შემუშავდეს „ახალი" და „ძველი" ეკონომიკის „შეპირაპირების" დაახლოების პროგრამა, რადგან ეს ეკონომიკები ბევრად განსხვავდება ერთმანეთისაგან, უწინარესად კი ფასებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დონეებით.

დარგობრივი სამინისტროების გაუქმებამ, „ძველი" ეკონომიკის დემონოპოლიზაციამ და „ახლისადმი" დახმარებამ გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს თავისუფალ-კონკურენციული ბაზრის შექმნაში და განმტკიცებაში, რომელსაც სახელმწიფო დაარეგულირებს მთელი საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე. მხოლოდ ასეთი ბაზრით დამკვიდრდება ნამდვილად თავისუფალი და სამართლიანი ფასები. რაც შეეხება საკრედიტო-საფინანსო და სხვა რეფორმებს, ისინი ეკონომიკის დემონოპოლიზაციის შემადგენელი ნაწილებია. საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის მთელი პროგრამა კი დაუყოვნებლივ დემონოპოლიზაციაზე უნდა აიგოს.

თენგიზ ქავთარაძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეც ხდება...

სინათლის სხივი სიცრუის წყვდიადში

პარასკევს, 15 თებერვალს, საქართველოს ტელევიზიამ უჩვენა რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაკეთებული ჩანაწერი, სადაც გამოვიდა რუსეთის პარლამენტის კომისიის თავმჯდომარე და დამსწრეთ გააცნო თბილისსა და ცხინვალში ჩასვლის შედეგები.

ამ გადაცემამ დიდი ინტერესი გამოიწვია საქართველოში. დღეს „საქართველოს რესპუბლიკა" მკითხველების თხოვნით აქვეყნებს ამ გადაცემის ჩანაწერს.

საქართველოს ტელევიზიის დიქტორი:

— ვინ არ იცის, რა დაძაბული ვითარება შეიქმნა საქართველოში და რა პირობებში მუშაობს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. დესტრუქციული ძალები ყოველნაირად ცდილობენ გაამწვავონ ვითარება. ცალმხრივად, ტენდენციურად აშუქებს ამბებს ცენტრალური პრესა, რაც კიდევ უფრო აბრკოლებს ვითარების მოგვარებას. ასეთ დროს ძალზე საჭიროა გარედან დახმარება. და აი, გუშინ რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს სესიის ტრიბუნიდან გაისმა დეპუტატ სოროკინის მართალი სიტყვა.

დეპუტატი სოროკინი:

— საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან უზენაეს საბჭოში ოფიციალური შეხვედრების გარდა ჩვენ საშუალება მოგვეცა გვესაუბრა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან და ქალაქ ცხინვალის ხელმძღვანელობასთან, როგორც ეგრეთ წოდებული ოსეთის ოლქის, ისე ქართული სოფლების მოსახლეობასთან. ჩვენი აზრით, შეიარაღებული კონფლიქტის დაწყება გამოწვეული იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს განცხადებით იმის თაობაზე, რომ ავტონომიური ოლქის სტატუსი დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსით შეიცვალა.

შემდგომი ამბები, რომლებიც ამას მოჰყვა, ლოგიკური ჯაჭვია, რომელმაც გამოიწვია ამჟამინდელი სიტუაცია...

ასეთი სიტუაცია თუ კვლავაც გაგრძელდა, გარდაუვალად გამოიწვევს ლტოლვილთა ნაკადს, რომელიც უკვე არის როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან... ლტოლვილები სამხრეთ ოსეთიდან ჩრდილოეთ ოსეთში, და ლტოლვილები სოფლებიდან, სადაც უპირატესად ქართველები სახლობენ.

ყოველივე ამის გამო კომისიის წევრებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ განვიხილოთ შემდეგ ღონისძიებათა საჭიროების საკითხი: პირველი, ეს არის რუსეთის სფსრ კანონის პროექტი ლტოლვილების შესახებ დაუყოვნებლივ განვიხილოთ რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს სესიაზე. მეორე, განვსაზღვროთ არსებული შესაძლებლობანი და ნედლეულით და ფულით დავეხმაროთ ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკას, განვახორციელოთ ღონისძიებანი სამხრეთ ოსეთიდან ლტოლვილებისა და გადმოსახლებულებისათვის ცხოვრების პირობების შესაქმნელად.

ლტოლვილებისა და გადმოსახლების შესახებ კანონის მიღებამდე ჩრდილოეთ ოსეთში უნდა გაიგზავნოს მთავრობის კომისია შესაძლო პრობლემათა დაუყოვნებლივ გადასაწყვეტად და რუსეთის სფსრ უზენაეს საბჭოსთან პირდაპირი კავშირის დასამყარებლად. რამდენადაც ვიცით, ასეთი ცნობა უკვე მოუმზადებიათ კომისიის წევრებსაც. ეს, ასე ვთქვათ, ერთად შემუშავებული რეკომენდაციებია კომისიის წევრებს შორის კონსულტაციების პროცესში.

შეკითხვა დარბაზიდან: ერთი შებრძანეთ, რამდენად დაკავშირებულია ამ კონფლიქტის ორი მხარე — ეროვნული, ეროვნულ-კულტურული და პოლიტიკური? მინდა ვიცოდე, როგორ აფასებთ სამხრეთ ოსეთში ამ კონფლიქტის გამო შექმნილ სიტუაციას სპეციფიკური ეროვნულ-კულტურული ინტერესებისა და პოლიტიკის რეალიზაციის თვალსაზრისით.

პასუხი: რა თქმა უნდა, სტატისტიკურად, ჩრდილოეთ ოსეთთან შედარებით, ყოველი ოჯახი, ჩემი აზრით, გაცილებით შეძლებულად ცხოვრობს სამხრეთ ოსეთში. მე არა მგონია, რომ აქ იყოს კონფლიქტის უწინარესი მიზეზი. კულტურის პლანით — იქ არის თეატრი, რომელიც ამჟამად დანგრეულია. ცხინვალში არის ოსური სკოლები და ორი ქართული სკოლაა. ქართული სკოლები დაწვეს. მიჭირს იმის თქმა, თუ როგორ შეიძლება ამის შედარება ჩრდილოეთ ოსეთთან, მაგრამ მგონია, რომ სამხრეთ ოსეთში, ჩრდილოეთ ოსეთთან შედარებით, საკმაოდ განვითარებულია. კულტურული და ეროვნული განვითარების ეს ინფრასტრუქტურა, ეს არ ყოფილა მიზეზი. ფაქტობრივად, კონფლიქტის ობიექტური მიზეზია (და ეს ნათქვამია ჩვენს ცნობაში) დაპირისპირება, რომელიც, წარმატებით თუ წარუმატებლად, ცდილობენ ერთაშორისი პოლიტიკის კალაპოტში გადაიყვანონ.

მე მგონია, თუ ასე მოხდა, თუ ამის წინააღმდეგ რაიმე არ ვიღონეთ, ამ კონფლიქტს, გადაიქცევა რა ეროვნებათაშორისად, პერმანენტული ხასიათი მიენიჭება.

კითხვა: რა ღონისძიებებს გულისხმობთ? სცადა თუ არა ჩვენმა დელეგაციამ თქვენი ხელმძღვანელობით ესაუბრა ორივე მხარის ხელმძღვანელობასთან, ორივე მხარის მოსახლეობასთან, სცადა თუ არა, მიეღწია დროებითი მორატორიუმისთვის ამ კონფლიქტში, რათა ახლანდელ მძიმე დღეებს გავუძლოთ...

პასუხი: ჩვენ ვერ შევძელით პრინციპული თანხმობისთვის მიგვეღწია მოლაპარაკებებში. მეორე, მორატორიუმის თაობაზე: როცა ორივე მხარეს ამდენი იარაღი აქვს, ამის მიღწევა საჭოჭმანოა...

რუსეთის ტელევიზიის დიქტორი:

— დეპუტატ სოროკინისადმი კითხვები პრობლემების ფართო წრეს მოიცავდა, ან რა გასაკვირია, სამხრეთ ოსეთის ამბებს ხომ ბუნებრივად გამოეხმაურება ჩრდილოეთ ოსეთი. ეს კი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაა — გარდა ამისა, რომელ რესპუბლიკაშიც უნდა მოხდეს კონფლიქტი, მას სულ ერთია ყველა დანარჩენი რესპუბლიკა გამოეხმაურება. ამიტომ სავსებით გასაგებია რუსეთის პარლამენტართა დაინტერესება, ერთი შეხედვით, სხვა რესპუბლიკის ტერიტორიაზე საშინაო კონფლიქტით.

საქართველოს ტელევიზიის დიქტორი:

— დაგვეთანხმეთ, დეპუტატ სოროკინის ეს გამოსვლა მოღრუბლულ ცაზე მზის სხივის გაელვებას ჰგავს. ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ცუდად ისმოდა, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ საქართველოს ტელევიზიას ძალზე გაუჭირდა ამ ჩანაწერის ხელში მოგდება და თქვენთვის ჩვენება. ამიტომ მოგვიტევეთ.

საკუთარ სახლში

ეროვნული ბანკიდან— ეროვნული ვალუტისაკენ

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918–1921 წლები) ფულის ნიშნები იყო წარმოდგენილი პრესკონფერენციაზე, რომელიც 15 თებერვალს გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში, ფული თან მოიტანა სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ ვლადიმერ პატეიშვილმა. სწორედ იმან, ვისაც ეხებოდა პრესაში დაბეჭდილი ინფორმაცია თანამდებობიდან მისი განთავისუფლების შესახებ, თითქოსდა 100 და 50-მანეთიანი კუპიურების გამოცვლის დროს დაშვებული დარღვევებისათვის, რომელიც, როგორც გამოირკვა, ტყუილი გამოდგა. უფრო მეტიც, გამგეობის თავმჯდომარის საქმიანობის მაღალ პროფესიულ დონეს მოწმობს ფულადი პრემიაც, რომელიც, ამ კამპანიისათვის გადასცეს.

შეხვედრის გახსნისას საქართველოს დამოუკიდებელი ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანმა აკაკი სიხარულიძემ თავისი კოლეგების სახელით ბოდიში მოუხადა სტუმარს მორალური ზიანისათვის და სთხოვა ეპასუხა ჟურნალისტთა კითხვებზე, რომლებიც შეეხებოდა თანამედროვე ეტაპზე საბანკო პოლიტიკას. ვ. პატეიშვილმა, კერძოდ, აღნიშნა, რომ უკვე მზად არის პროექტი კანონისა საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ, რომელსაც უნდა ჰქონდეს საკუთარი ფონდები და რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა აფართოებდეს თავის საქმიან ურთიერთობებს. მან მწვავედ გააკრიტიკა სსრ კავშირში ათწლეულების მანძილზე დამკვიდრებული საქმიანობის დეცენტრალიზაციის პრაქტიკა, როცა ფულის ემისიის გადიდების საკითხს სანქციას აძლევდა საკავშირო მთავრობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსთან... შეთანხმებით. გამგეობის თავმჯდომარემ მხარი დაუჭირა დანარჩენი ბანკების კომერციალიზაციას, როცა მათი დამაარსებლები ხდებიან მეპაიეები, რომლებიც თვითონ ირჩევენ გამგეობას, იღებენ კუთვნილ დივიდენდებს.

ჟურნალისტებმა მიიღეს პასუხი მათთვის საინტერესო სხვა საკითხებზეც.

(საქინფორმი)

ბალტიის ქვეყნები

რესპუბლიკური რეფერენდუმი ესტონეთში

ესტონეთს სურს, რომ მისი დამოუკიდებლობის თაობაზე მომავალ რეფერენდუმს დაესწრონ საერთაშორისო მეთვალყურენი, განაცხადა ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლეონარდ მარიმ ჟენევაში გამართულ პრესკონფერენციაზე. მისი აზრით ესტონელი ხალხი ხმას მისცემს დამოუკიდებლობას და რესპუბლიკის რუსი მოსახლეობაც ამას გააკეთებს. მან აბსოლუტური რწმენა გამოთქვა, რომ ესტონელები მიიღებენ მტკიცე გადაწყვეტილებას თავიანთი ქვეყნის სრული დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ. საგარეო საქმეთა მინისტრმა მადლობა გადაუხადა შეერთებულ შტატებს, ბრიტანეთს, შვედეთს და სხვა ქვეყნებს ბალტიისპირეთის ხალხთა თვითგამორკვევის საკითხში მხარდაჭერისათვის. მან იმედი გამოთქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებების კომისია მიიღებს რეზოლუციას, რომელიც დაგმობს საბჭოთა არმიის მიერ გაჩაღებულ ხოცვა-ჟლეტას ლიტვაში და ლატვიაში.

კულტურის მინისტრმა ნიადაგი მოსინჯა

ესტონეთის კულტურის მინისტრი სუმერი, როგორც ცნობილია, იანვრის ბოლოს ფინეთში იყო, სადაც გაიმართა ესტონური კულტურის კვირეული. ამავე დროს, როგორც გამოირკვა, მინისტრს სხვა დავალებაც ჰქონია. ფინური გაზეთის „აამულეხტისთვის" მიცემულ ინტერვიუში კულტურის მინისტრმა აღნიშნა, რომ მან მოსინჯა ნიადაგი, რათა ჩამოეყალიბებინა ესტონეთის მთავრობის კაბინეტი საზღვარგარეთ. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ესტონეთის მთავრობას სამშობლოში აღარ დაედგომებაო. აღნიშნავს გაზეთი.

შეგახსენებთ, რომ უკვე ემიგრაციაშია ესტონეთის კიდევ ერთი მთავრობა, რომელიც სამშობლოდან გაიქცა წითელი არმიის მიერ ესტონეთის ოკუპაციის შემდეგ.

ისლანდიის პოზიცია

„ბალტიისპირეთის პრობლემებმა შეიძლება შეარყიონ კეთილი თანამშრომლობა ჩრდილოეთის საბჭოში", — წერს სტოკჰოლმის გაზეთი „დაგენს ინდუსტრი". გაზეთის აზრით, რომელიც იუწყება, რომ მიმდინარე კვირას კოპენჰაგენში გაიმართება ჩრდილოეთ ევროპის სახელმწიფოთა პარლამენტებისა და მთავრობების წარმომადგენელთა ამ საკონსულტაციო ორგანიზაციის მინისტრების საბჭოს სხდომა, „ისლანდია გაღიზიანებულია იმით, რომ სხვა ქვეყნები არ ბაძავენ მის მაგალითს ლიტვის აღიარებასთან დაკავშირებით".

„ლიტვის პრეზიდენტმა ლანდსბერგისმა, — იუწყება გაზეთი „დაგენს ინდუსტრი", — უთხრა დანიის ფოლკეტინგის (პარლამენტის) თავმჯდომარეს, რომ ბალტიისპირეთის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის აშკარა აღიარება და მათთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება საუკეთესო იარაღია ახალი საბჭოთა აგრესიების წინააღმდეგ. როგორც ლანდსბერგისმა თქვა, იგი ძალზე იმედგაცრუებული იქნება, თუ ჩრდილოეთის სხვა ქვეყნები სწრაფად არ მიბაძავენ ისლანდიის მაგალითს".

საზღვარგარეთ

ომი სპარსეთის ყურეში

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეერთებული შტატების პოზიცია სპარსეთის ყურის რაიონში არსებული კონფლიქტის მიმართ უცვლელია. უპასუხა რა კვირას ჟურნალისტთა კითხვებს კენებანკპორტში (მენის შტატი), მან გამოთქვა რწმენა, რომ „მალე, ძალიან მალე" ქუვეითი განთავისუფლდება ერაყის ოკუპაციისაგან, მაგრამ უარი განაცხადა ეთქვა, თუ როდის დაიწყება ხმელეთზე იერიში.

„უდაბნოს გრიგალის" ოპერაციიდან 32-ე დღეს მრავალეროვნულმა ძალებმა ბრძოლებით განახორციელეს დაზვერვა ერაყთან და ქუვეითთან საუდის არაბეთის საზღვრების ზოგიერთ უბანზე, თქვა კვირას ერ-რიადში გამართულ ბრიფინგზე ბრიგადის გენერალმა რიჩარდ ნილმა. საბრძოლო მოქმედების დროს, რომელშიც მონაწილეობდნენ ტანკები, არტილერია და ვერტმფრენები, მოსპეს ერაყის 3 ტანკი, ორი ჯავშანტრანსპორტიორი, რეაქტიული გასაშვები დანადგარი, 2 ბუნკერი და ტყვია-წამლის საწყობი, ტყვედ წაასხეს 20 ერაყელი სამხედრო მოსამსახურე. ამერიკელებს მოუკლეს 2 კაცი და დაუჭრეს ექვსი მ-113 ჯავშანტრანსპორტიორისა და სახმელეთო საბრძოლო მანქანის „ბრედლის" ეკიპაჟების შემადგენლობიდან, რომლებსაც შეცდომით დაუშინეს ცეცხლი მრავალეროვნულმა ძალებმა.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების 30-ზე მეტი სადესანტო ხომალდი, რომლებიც გათვალისწინებულია ხმელეთზე მოახლოებული იერიშის უზრუნველსაყოფად, განლაგებულია სპარსეთის ყურის ერთ-ერთ რაიონში, თქვა ასოშიეიტედ პრესის სააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში სადესანტო ხომალდის „პორტლენდის" მეთაურმა მაიკლ ფალკემ. როგორც გაზეთი „ლოს-ანჯელეს ტაიმსი" აღნიშნავს, რომელიც იმოწმებს პენტაგონის წარმომადგენელს, სახმელეთო შეტევითი მოქმედება დაიწყება ამ კვირაში, თუ ერაყი თავის ჯარებს არ გაიყვანს ქუვეითიდან.

ერაყს შეუძლია სპარსეთის ყურის ზონაში მრავალეროვნული ძალების წინააღმდეგ გამოიყენოს საბრძოლო მოიერიშე ვერტმფრენები, რომლებსაც იგი ჯერჯერობით ფართოდ არ იყენებს. უახლოეს მომავალში მოვლენათა ასეთი უეჭველი განვითარება აღწერეს რეიტერის საინფორმაციო სააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში ამერიკელმა სამხედროებმა, რომლებიც ახლა საუდის არაბეთის ტერიტორიაზე არიან. ექსპერტთა შეფასებით, ერაყს შეიარაღებაში აქვს ინგლისური, საბჭოთა და ფრანგული წარმოების სულ ცოტა ორასი ასეთი საბრძოლო მანქანა.

საუდის არაბეთი. ერთი თვეა რაც სპარსეთის ყურეში ომი მიმდინარეობს. ბევრისთვის ჩვეული გახდა სიტყვები „სკადი" და „პეტრიოტი" — რაკეტები და ანტირაკეტები.

სურათზე: ამერიკის არმიის სამხედრო თავდაცვის არტილერისტები მორიგი „სკადის" ნამსხვრევებთან, რომელიც ერ-რიადის მახლობლად ჩამოაგდეს. რვა არტილერისტი წაახალისეს ჩინებული სამსახურისთვის და აჩუქეს ფეხბურთელის მაისურები წარწერით — „პეტრიოტები" — „სკადის" რისხვანი.

ასოშიეიტედ პრეს-საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ორი შეხედულება ომზე

„სპარსეთის ყურეში ომი ჯერ არ დაწყებულა" ამტკიცებს „სამხედრო ისტორიული ჟურნალის" რედაქტორი გენერალ-მაიორი ფილატოვი. იგი მომსწრეა მრავალი ომისა და კონფლიქტისა უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე. მისი აზრით ბრძოლა შეერთებული შტატების სერიოზული მარცხით დამთავრდება. ომი არ დაწყებულა, აღნიშნავს იგი. ერაყი არ აპირებს მრავალეროვნულ ძალებთან ბრძოლას არც ჰაერში და არც ზღვაზე. მისი ძალა ხმელეთზეა. ჰუსეინის სახმელეთო ძალები კარგად არის დამალული მიწისქვეშა სადგომებში და ზედაპირზე გამოვლენ, როცა ამერიკელები ერაყს შეუტევენ. ასე რომ, ვაშინგტონი მეორე ვიეტნამისაკენ მიექანება. ვიეტნამელები მთელ მსოფლიოში არ ცხოვრობენ, რასაც ვერ ვიტყვით არაბებზე, როგორც კი მიწისზედა შეტაკებები დაიწყება, მერყეობას დაიწყებს სირიისა და ეგვიპტის მთავრობები, ერაყი კიდეც რომ დამარცხდეს, ბრძოლაში სხვა არაბული ქვეყნები ჩაებმებიან, განსაკუთრებით მაშინ თუ ბრძოლაში ისრაელიც ჩაერთო. გენერლის აზრით, როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, ომი ხანგრძლივი იქნება.

ცნობილი იაპონელი მისნის რეისიო ნოგუტის აზრით ომი სპარსეთის ყურეში თებერვლის მეორე ნახევარში დასრულდება მრავალეროვნული ძალების სრული გამარჯვებით. სადამ ჰუსეინი ოცი თებერვლისათვის დაიღუპება იორდანიაში, სადაც თავის გადასარჩენად გაიქცევა. თუ რატომ მაინცდამაინც იორდანიაში გაიქცევა ჰუსეინი, ამაზე მისანმა ვერაფერი თქვა, თუმცა იმაში კი დარწმუნებულია, რომ ლიდერის გარეშე დარჩენილი ერაყის არმია დანებდება. სპარსეთის ყურის კრიზისი მსოფლიო ეკონომიკაზე არსებით გავლენას ვერ მოახდენს ან თუ იქნება სირთულეები, ისიც დროებითი.

ომის დასრულების შემდეგ დარჩება ორი პრობლემა, რომელმაც შესაძლოა კვლავ წარმოშვას ომის საფრთხე. პირველია ისრაელი, რომელიც ვაშინგტონთან შეთანხმებით პალესტინელთა საკითხს ჩიხში მოაქცევს და მეორე — საუდის არაბეთი. ეს ქვეყანა საკუთარი საგარეო პოლიტიკიდან გამომდინარე შეეცდება, რომ კვლავ წაკიდოს ერთმანეთს ერაყი და ირანი.

ასეთია სპარსეთის ყურეში მიმდინარე ომის თაობაზე ორი შეხედულება. ვინ იქნება მართალი, საბჭოთა გენერალი თუ იაპონელი მისანი, დრო გვიჩვენებს.

დევიდ რემნიკი: ალქსნისი გორბაჩოვის გადაყენებას მოითხოვს

გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა" დაბეჭდა თავისი მოსკოველი კორესპონდენტის დევიდ რემნიკის სტატია, სადაც აღნიშნულია, რომ საკანონმდებლო ორგანოში უკომპრომისო გზის მიმდევარმა, „სოიუზის" ფრაქციის ხელმძღვანელმა, პოდპოლკოვნიკმა ვიქტორ ალქსნისმა ასეთი განცხადება გააკეთა: „თუ თქვენ გსურთ რეაქციონერი მიწოდოთ, ნება თქვენია". პოდპოლკოვნიკმა ეს განცხადება გააკეთა რაიმე განმარტების გარეშე. ახლა იგი მოითხოვს, რომ პრეზიდენტი გორბაჩოვი ლოგიკურ კურსს დაადგეს, გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობის პერიოდი, ტოტალური მმართველობა, როგორც ეს პოლონელმა გენერალმა ვოიცეხ იარუზელსკიმ გააკეთა 1981 წელს, ანდა დაუყოვნებლივ გადადგეს. გორბაჩოვმა უნდა დაშალოს საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭო და თხუთმეტივე რესპუბლიკის პარლამენტები, განსაკუთრებით ეხებათ ეს ბალტიისპირეთისა და საქართველოს რესპუბლიკებს. ეს უნდა გაკეთდეს ძალის გამოყენებით და შეიქმნას კოალიციური ეროვნული ხსნის კომიტეტი, რომელიც ქვეყანას მართავს რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში და ა. შ. პოდპოლკოვნიკის აზრით, თუ საჭიროება მოითხოვს, უნდა დააპატიმრონ ლანდსბერგისი, გამსახურდია და მოკავშირე რესპუბლიკების სხვა დამოუკიდებელი ლიდერები.

კორესპონდენტ დევიდ რემნიკისთვის მიცემულ ორსაათიან ინტერვიუში პოდპოლკოვნიკმა ალქსნისმა განაცხადა, რომ იგი ელაპარაკა უმრავლესობას, რომელიც გაჩუმებულია. და მათ მხარი დაუჭირეს ყველა მის მოთხოვნას ავტორიტარული მმართველობის შესახებ.

ლიბერალურ-დემოკრატიული რუსეთის კოალიციის ხელმძღვანელი იური ბაკატინი პოდპოლკოვნიკს უწოდებს უდრეკს, მაგრამ შეწუხებული ხმით დასძენს, რომ ალქსნისსა და გორბაჩოვს შორის ტაქტიკური განსხვავებაა. მრავალი ლიბერალის აზრით, საბჭოთა კავშირის არმიისა და მილიციის ხელმძღვანელები პოდპოლკოვნიკს იმისთვის იყენებენ, რომ ნიადაგი შეუმზადონ სამხედრო გადატრიალებას. პოდპოლკოვნიკის პაპა იაკობი 30-იან წლებში საჰაერო ძალების მეთაური ყოფილა. 1937 წლის მაისში შედიოდა იმ სამხედრო ტრიბუნალის შემადგენლობაში, რომელმაც მარშალ ტუხაჩევსკის დახვრეტა მიუსაჯა. მას შემდეგ 8 თვის განმავლობაში, როგორც რემნიკი ამბობს, ტრიბუნალმა ყველა ბრალდებული დახვრიტა.

ისევე როგორც მრავალი საბჭოთა კონსერვატორი, პოდპოლკოვნიკი ალქსნისიც ამბობს, რომ ქვეყნის ამჟამინდელი კრიზისი დაიწყო სუკ-ის ყოფილი მეთაურის ანდროპოვის გარდაცვალების შემდეგ. ალქსნისი გორბაჩოვსა და შევარდნაძეს აბრალებს იმას, რომ ისინი შეერთებულ შტატებს მიეყიდნენ, ეხმარებოდნენ რა საბჭოთა კავშირს, როგორც სუპერქვეყნის გაუქმებაში. კორესპონდენტი რემნიკი თავის სტატიაში ამბობს, რომ პოდპოლკოვნიკი დასავლეთს, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებს აბრალებს საბჭოთა კავშირის დანაწევრებას. იგი ამბობს, რომ დასავლეთის დაზვერვა ეხმარება დამოუკიდებლობის მოძრაობებს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში. ალქსნისმა განაცხადა, გორბაჩოვის დრო იწურებაო, მას უკვე არა აქვს არჩევანი, მოცდის დრო აღარ არის და უნდა გადადგესო.

„ნიუ-იორკ ტაიმსი" საბჭოეთის შესახებ

„ნიუ-იორკ ტაიმსმა" გამოაქვეყნა სტატია, მეორე „ცივი ომი" დაიწყო", რომელიც საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას ეხება.

ამ ომის პირველ ბრძოლად გაზეთი ასახელებს კონტროლს შეიარაღებისადმი — სფეროს, რომელშიც საბჭოთა ხელმძღვანელობას მოტყუების გზით დაურწმუნებია ამერიკის მხარე შეიარაღების კოსმოსური თავდაცვის შესაქმნელად ხარჯები, ამასთან „არ დაეკარგა თავისი შეტევითი უპირატესობა". მეორე ბრძოლა, როგორც გაზეთი ამტკიცებს, მიმდინარეობს ახლო აღმოსავლეთში, სადაც „მოსკოვი ორმაგ თამაშს ეწევა". „თავს ასაღებს რა საერთაშორისო წეს-წყობილების მომხრედ, იგი კავშირს ამყარებს ბაღდადთან. სსრ კავშირი, რომელიც მსხვერპლად არ წირავს თავის ადამიანებს თუ მატერიალურ რესურსებს, გვართმევს ძლიერ პოზიციებს ახლო აღმოსავლეთში ომის შემდეგ". ახალი „ცივი ომის" მესამე ფრონტად გაზეთს მიაჩნია ეკონომიკური ურთიერთობა. „გაბრიელი ბანკირთა შეთქმულება გვიჩვენებს, როგორ გაიღებს მოსკოვი მსხვერპლად დასავლეთ მოვაჭრეებს — იმ დროსაც კი, როცა ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის სამინისტრო ფრანგ ბანკირებთან ერთად სულ ახალ-ახალ კრედიტებს სთავაზობს". „საბჭოთა კავშირი ინგრევა და მისი ხალხები ესწრაფვიან თავისუფლებას, მაგრამ საბჭოთა რეჟიმის დიპლომატია უფრო დახვეწილია, ვიდრე ჩვენი, და მისი მიზანი ეწინააღმდეგება ჩვენსას".

„საბჭოთა კავშირის იმ დაპირებათა მიუხედავად, რომ ხელს არ შეუშლის ვარშავის პაქტის დაშლას, ცენტრალურ ევროპაში იზრდება შეშფოთება საბჭოთა განზრახვების გამო, — ნათქვამია „ნიუ-იორკ ტაიმსში"" გამოქვეყნებულ მეორე სტატიაში. — თუმცა ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით მოსკოვი, შეიძლება, მეტისმეტად სუსტია, რათა დაანგრიოს დემოკრატია ცენტრალურ ევროპაში, მისი უნარი — ქმნიდეს არასტაბილურობას — არსებითი რჩება. არის ყოფილ მოკავშირეთა მიმართ საბჭოთა პოზიციის გამკაცრების საგანგებო ნიშნები", სტატიის ავტორი მოუწოდებს: „ვაშინგტონმა უნდა გამოიჩინოს წინდახედულება. სპარსეთის ყურეში ომის დამთავრებამდე ცენტრალური ევროპის ქვეყნებისათვის აქტიური დახმარების შეკავება ნიშნავს ჯეროვნად არ ვაფასებდეთ მოსახერხებელ შესაძლებლობას. საბჭოთა პრეზიდენტის მხარდაჭერა იმ, დროს, როდესაც გრძელდება ცენტრალური ევროპის დაშინების საბჭოური ტაქტიკა, ნიშნავს ძველი იმედების ერთგულებასა და ახალ რეალობათა უგულებელყოფას".

იქნება მარანი ატლანტაში?

ამერიკის შეერთებული შტატების ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტაში პირველად გამოჩნდა „ვერცხლისფერი" ელვარების წითელი ღვინოები. ეს ფენომენი სულაც არ არის გასტრონომიული წარმოშობისა: აქ გამართულ ღვინოების ყოველწლიურ ფესტივალ-კონკურსზე ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდა ქართული ღვინოები — ახაშენი და თელიანი. „მოკრძალებული" ბრინჯაოს მედალი ხვდა წილად ისევ ქართულ ღვინოს — გურჯაანს.

— თავდაპირველად, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს გიორგი ქავთარაძეს ატლანტის სავაჭრო პალატის საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორმა რამაზ გოგლიძემ, — მინდა აღვნიშნო ის გარემოება, რომ ერთი ხანია ამერიკაში მეღვინეობას გადიდებულ ყურადღებას უთმობენ. ამით, კერძოდ, შეიძლება ავხსნათ ამ ფესტივალზე მსოფლიოს ორმოცდაათზე მეტი ქვეყნიდან ჩამოსული მეღვინეობის საქმის დიდ მცოდნეთა დასწრება. რაც შეეხება ფესტივალში ჩვენი რესპუბლიკის, უძველესი მეღვინეობის ტრადიციების ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობას, აქ იმოქმედა კიდევ ერთმა ფაქტორმა, იმან, რომ დიდი ხნის კონტაქტებია დამყარებული დაძმობილებულ ქალაქებს თბილისსა და ატლანტას შორის. ოფიციალური გაცვლის გარდა საქართველოსა და ჯორჯიის შტატების სავაჭრო-სამრეწველო პალატებს შორის, — ეს კი არის გაცვლა კულტურის, მეცნიერების, სპორტისა და ტურიზმის დარგში, — ხორციელდება ოჯახების გაცვლაც. თუ მეგობრობა, მეგობრობა იყოს!

მინდა ისევ კონკურსს დავუბრუნდე. მისთვის ძალზე გულმოდგინედ ვემზადებოდით: ჯერ ერთი, გვინდოდა ღირსეულად წარვმდგარიყავით კონკურსზე და არც მეგობრები გაგვეწბილებინა. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, კონკურსი ძალზე წარმომადგენლობითი იყო. სამტრესტის, გაერთიანება „თბილისღვინის" სპეციალისტებმა შეარჩიეს ქართული ღვინოების ათი მარკა, რომლებიც თავიანთი თვისებებით არაფრით არ ჩამოუვარდებიან ევროპულს. მათი ჩატანა შესაბამისი ვალუტის ფასად — ციფრი კი საკმაოდ სოლიდური იყო, — იკისრა ატლანტის სავაჭრო პალატამ. ტვირთიანი კონტეინერები გადაზიდა ადგილობრივმა „დელტა ეირლაინზის" ავიაკომპანიამ.

დღეს, როცა საბაზრო ეკონომიკა არა მარტო კარს მოგვადგომია, არამედ შეიძლება ითქვას, კარსაც კი გვიმტვრევს, ქართულ მეღვინეთა წარმატება მსოფლიო გაერთიანების ფარგლებში სავაჭრო თანამშრომლობის სერიოზული განაცხადია.

საქინფორმი.

ბრიტანეთის მინისტრის განცხადება

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა ჰოგმა ლონდონში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა: „ღრმად ვართ შეშფოთებული იმით, რაც საბჭოთა კავშირში ხდება. ჩვენი მხარდაჭერით სარგებლობს ის გორბაჩოვი, რომელიც მხარს უჭერს რეფორმებს. შეგნებული გვაქვს, რომ მან დაიწყო ძალზე მნიშვნელოვანი რეფორმები, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს დასავლეთის ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობების გაუმჯობესებაში. მაგრამ ამავე დროს, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ბოლო 12 თვის მანძილზე სულ უფრო ხშირად შეიმჩნევა რეპრესიული პოლიტიკის გამოვლინებანი. ეს დიდად გვაღელვებს, და თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში ვერ მივაღწევთ თანამშრომლობისა და მეგობრობის სასურველ დონეს. გარკვეული საბჭოთა სამხედრო წრეების მხრივ ზეგავლენის გაძლიერებას შეიძლება ის მოჰყვეს, რომ საბჭოთა კავშირთან დასავლეთის ქვეყნების, კერძოდ, დიდი ბრიტანეთის, ურთიერთობა მართლაც ძალზე გულგრილი გახდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენი მეგობრობა ვრცელდება საბჭოთა ხალხზე და გორბაჩოვ-რეფორმატორზე. თუ იგი შეიცვლება, წარმოიშობა პრობლემა.

ძალიან ვიმედოვნებთ, რომ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მეიჯორის ვიზიტი სსრ კავშირში გაიმართება დაგეგმილ ვადებში მომდევნო თვეში. მართლაც უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაუმჯობესებას და მიგვაჩნია, რომ საბჭოთა კავშირსაც და დასავლეთსაც შეუძლიათ ბევრი რამ მიიღონ ურთიერთობის არსებითი გაუმჯობესების შედეგად. მაგრამ, თუ სსრ კავშირში ლიბერალიზაციის პროცესი უკუღმა დატრიალდება, საბჭოთა კავშირისადმი დასავლეთის ქვეყნების ურთიერთობა შეიცვლება".

ჰოგმა უარყო წინადადება, თითქოს საზღვარგარეთ ვინმეს სურდეს საბჭოთა მანეთის დესტაბილიზება.

ვენის მოლაპარაკება

გერმანიის ტელეპროგრამა ცდფ განმარტავს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ მოლაპარაკების მიმდინარეობას და ვენიდან იუწყება: „ვენის მოლაპარაკება ჯერ არც კი დაწყებულა, რომ ჩიხში აღმოჩნდა. ამისათვის ბრალი ეკისრება საბჭოთა კავშირს, რომელიც არ ასრულებს წინათ დადებულ შეთანხმებათა პირობებს და ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს თავისი პარტნიორები. სსრ კავშირის ხელმძღვანელობის არაკონსტრუქციული პოზიციის წინააღმდეგ გაილაშქრეს როგორც ნატოს ქვეყნების წარმომადგენლებმა, ისე ვარშავის ხელშეკრულებაში მოსკოვის ყოფილმა მოკავშირეებმა. მაგრამ რუსები ჯერჯერობით ყურად არ იღებენ არგუმენტებს".

ფრანგული „კოტიდიენ დე პარი" წერს, რომ ნატოს ქვეყნებმა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის მთელმა რიგმა წევრებმა ვენის მოლაპარაკებაზე სსრ კავშირს ბრალად დასდეს პარიზში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შეხვედრაზე ხელმოწერილი ხელშეკრულებისათვის ძირის გამოთხრა. კერძოდ, ბრალდებანი ეხება ხელშეკრულების იურისდიქციიდან ათასტანკიანი სამი დივიზიის გამოყვანას სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის მათი გადაცემის, გზით, აგრეთვე სამხედრო ბაზებისა და მძიმე შეიარაღების საწყობების შესახებ ყალბი მონაცემების მიცემას. გარდა ამისა, საფრანგეთის წარმომადგენლის აზრით, დიდძალი ტანკების და არტილერიის გაგზავნა ურალს გადაღმა, თუმცა ეს მოხდა ხელშეკრულების ხელმოწერამდე, „მისთვის პოლიტიკური გვერდის ავლის შემთხვევაა".

„ნიუ-იორკ ტაიმსის" ცნობით, ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი არ მოელიან არსებითი პროგრესს ვენის მოლაპარაკებაზე, სანამ არ მოწესრიგდება დავა პარიზში ხელმოწერილი ხელშეკრულების საბჭოთა ინტერპრეტაციის ირგვლივ. ამ თვეში სახელმწიფო მდივანმა ბეიკერმა და დასავლელმა დიპლომატებმა საბჭოეთს ბრალად დასდეს შეთანხმების შეუსრულებლობა. როგორც ბუშის ადმინისტრაციამ განაცხადა, იგი არ წარუდგენს ხელშეკრულებას კონგრესს დასამტკიცებლად, სანამ დავა არ მოწესრიგდება".

მსხვერპლი ჯარისკაცებს შორის

საბჭოთა არმიის ოფიცერმა ჯარის ოფიციალურ პირებს ბრალად დასდო შეიარაღებულ ძალებში სიკვდილიანობის სტატისტიკის ფალსიფიცირება. ამ ოფიცერმა, რომელმაც ანონიმურად დარჩენა ისურვა, „ნიუ-ორკ ტაიმს" განუცხადა, რომ საბჭოთა ჯარში ბევრი მკვლელობა ხდება. საბჭოთა ოფიცრები ამ მკვლელობათა მიზეზად ინციდენტებსა და ავადმყოფობას ასახელებენ. საბჭოთა არმიის ოფიცერმა აღნიშნა, უფრო მეტი ჯარისკაცი იღუპება იდუმალ პირობებში, ვიდრე ამას სამხედროები აღიარებენო. „ნიუ-იორკ ტაიმსი" წერს, რომ ოთხნახევარმილიონიან საბჭოთა არმიაში ყოველწლიურად არასაბრძოლო პირობებში იღუპება თითქმის 7 ათასი ჯარისკაცი. ეს მონაცემები 50 პროცენტით მეტია შეერთებული შტატების ჯარის მონაცემებზე. საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტრო კი აცხადებს, ჯარისკაცთა უმეტესობის დაღუპვის მიზეზი თვითმკვლელობა ან დაუდევრობააო.

აზერბაიჯანის უზენაესი საბჭოს დადგენილება

მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქთან დაკავშირებული ყველა საკითხის გადაწყვეტა განეკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კომპეტენციას და მისი საშინაო საქმეა. ეს აღნიშნულია რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებაში, რომელიც გამოაქვეყნეს ბაქოს გაზეთებმა.

უზენაესი საბჭო კატეგორიულად უარყოფს ავტონომიურ ოლქში პრეზიდენტის მმართველობის შემოღების შესაძლებლობას ან სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის საკითხის განხილვას, რა ფორმითაც უნდა მოხდეს ეს. ასეთ წინადადებებს, ხაზგასმულია დადგენილებაში, მივიჩნევთ უხეშ ჩარევად სუვერენული აზერბაიჯანის რესპუბლიკის საშინაო საქმეებში.

რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს, მის მთელ რიგ მუდმივ კომისიებს დაევალათ სესიაზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული აზრების, აგრეთვე სამინისტროებისა და უწყებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინადადებათა გათვალისწინებით მომზადონ წინადადებანი მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში ვითარების ნორმალიზაციის შესახებ.

გამოხმაურება

„ღალატის სუნი თუ მარტო ჰაერში ტრიალებს, მას გადირეკს თებერვლის ქარები"

(ღია წერილი ბატონ ელიზბარ ჯაველიძეს)

ბატონო ელიზბარ!

ერთხელ, ერთგან, საპურმარილო მრგვალ მაგიდასთან (არა პოლიტიკურთან) იმდენი ანეგდოტი მოვისმინე, რომ სუფრის წევრებს ვუთხარი — ანეგდოტი ყოფითი სიტუაციის კვინტესენციაა-მეთქი. ამჟამად ვრწმუნდები, რომ ანეგდოტი პოლიტიკური სიტუაციის კვინტესენციაც ყოფილა თურმე. ანეგდოტში ასახული და დაფიქსირებული პოლიტიკური ყოფის სურათი, იმგვარი ზნეობრივი ფუნქციის მატარებელიცაა ხშირად, რომელსაც, მეტწილად, მაღალზნეობრივი პიროვნებებიც ვერ განასრულებენ ხოლმე.

ახლახან მოსმენილი ანეგდოტიდან (თუ, ანეგდოტური სიტუაციიდან): ახალშობილს ზვიადი დაარქვით, ისე, სახლში ჯაბას ვეძახითო!

ღმერთო მაღალო! ამ დიდმარხვაში მოუვლინე პატარა ზვიად-ჯაბას თავისუფალი საქართველო! მაშინ, სულ სხვა ყოფითი და პოლიტიკური სიტუაციის ამსახველ და სულ სხვა ზნეობრივი ქვეტექსტის შემცველ ანეგდოტებს მოვისმენთ...

ბატონ ზვიად გამსახურდიას ერთ იგავში, თვალხილული ეუბნება ბრმადშობილს: **„ძმობილო, მებრალები, აგრე უმწეოდ რომ დალასლასებ, წადი ქირურგთან, ოპერაცია გაიკეთე, თვალი აგეხილება და მზის სინათლეს დაინახავო.**

ბრმადშობილმა კი მიუგო: უცნაური ფანტაზია გქონია, გეტყობა. ერთი რომ, არავითარი „თვალხილულები" არ არსებობენ, არსებობენ მხოლოდ ბრმები, შენც ჩემსავით ბრმა ხარ, ოღონდ თავს იტყუებ. მეორეც, არავითარი სინათლე არ არსებობს, არსებობს მხოლოდ სიბნელე. „სინათლე" კი, უბრალოდ, „სიბნელის" საპირისპირო ცნებაა, რომელსაც ჭკუაზე გადამცდარი ხალხი სინამდვილედ თვლის. სიგიჟის უმაღლესი გამოხატულებაა შენს მიერ ხსენებული სიტყვა „მზე", ვითომდაც რაღაც არარსებული სინათლის წყარო. ეს ყოველივე სიტყვების თამაშია მხოლოდ და მხოლოდ. მესამეც, არავითარი თვალის ქირურგი არ არსებობს, არსებობს კუჭის, ბრმა ნაწლავის, ნაღვლის ბუშტის და სხეულის სხვა ორგანოების ქირურგი. თვალები კი იმისათვის აქვს ადამიანს, რომ სიბნელე დაინახოსო".

ახლა, ბატონო ელიზბარ, ამ იგავის საპირისპირო ვარიანტს გავაკეთებ მე და მერეღა გავაგრძელოთ იმაზე ბჭობა, თუ როგორი მორალი შეიძლება ამოვიკითხოთ მასში:

„ბრმადშობილმა უთხრა თვალხილულს: ძმობილო, მებრალები, აგრე თავშეუბრალებლად აქეთ-იქით რომ აწყდები არე-მარეს, წადი ქირურგთან, ოპერაცია გაიკეთე, თვალი დაგიბრმავდება და სიბნელეს დაინახავო.

თვალხილულმა კი მიუგო: უცნაური ფანტაზია გქონია, გეტყობა. ერთი რომ, არავითარი „ბრმადშობილები" არ არსებობენ, არსებობენ მხოლოდ თვალხილულები, შენც ჩემსავით თვალხილული ხარ, ოღონდ თავს იტყუებ. მეორეც, არავითარი სიბნელე არ არსებობს, არსებობს მხოლოდ სინათლე. „სიბნელე" კი, უბრალოდ, „სინათლის" საპირისპირო ცნებაა, რომელსაც ჭკუაზე გადამცდარი ხალხი სინამდვილედ თვლის. სიგიჟის უმაღლესი გამოხატულებაა შენს მიერ ხსენებული სიტყვა „ბნელი", ვითომდაც რაღაც არარსებული სიბნელის წყარო. ეს ყოველივე სიტყვების თამაშია მხოლოდ. მესამეც, არავითარი თვალის ქირურგი არ არსებობს, არსებობს კუჭის, ბრმა ნაწლავის, ნაღვლის ბუშტის და სხეულის სხვა ორგანოების ქირურგი. თვალები კი იმისათვის აქვს ადამიანს, რომ სინათლე დაინახოსო".

ისე, [illegible] რომ თქვას საპირისპირო მორალური პრინციპების ამოკითხვა თანაბრად შეიძლება იგავის აქ მოყვანილ ვარიანტებში, მაგრამ, ერთ რამეში, ცხადია, აღარ ვიდავებთ, ბატონო ელიზბარ, — იგავის ორივე ვარიანტი მაინც ერთი და იმავე ავტორისაა. სულ სხვა საკითხია, თუ რომელ ვარიანტს ავირჩევთ ქცევისა და შეფასების მორალურ კრიტერიუმად? — პირველ ვარიანტს თუ იგავისათვის დამახასიათებელი სარკაზმი მოვაცილეთ და ისე მივიღეთ, მაშინ სიბნელის აპოლოგეტებად ვრჩებით. თუკი „იგავის მორალს", პირველ ვარიანტში მოცემულს, ემპირიულ სინამდვილეში გადმოვიტანთ, სინათლე უნდა შევაჩვენოთ!..

წინასწარ ნუღარ გამიწყრებით ბატონო ელიზბარ, ვინაიდან, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ა. წ. 9 თებერვლის ნომერში დაბეჭდილმა თქვენმა საუბარმა ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება დასტოვა, რომ თქვენ, ჩემდა გასაოცრად, თქვენი ნათელი გონებითა და თვალებით სიბნელეს უფრო ეძიებთ, ვიდრე სინათლეს.

მე კი, ვიცი, რომ მიტკალივით თეთრი არ არის ჩემი ღამეების ჯარი (მაპატიოს ბატონმა მურმან ლებანიძემ), ბოდიშს ვუხდი ბატონ ზვიად გამსახურდიას შესანიშნავი იგავის გაუიგავებისათვის და თქვენთან დაუსწრებელ დიალოგს დავიწყებ მისი იგავის ჩემეული ვარიანტის მორალიდან:

თვალები იმისათვის აქვს ადამიანს, რომ სინათლე დაინახოს!

რა თქმა უნდა, სიბნელის დანახვაც ხათლადაა საჭირო და ფუჭია არარსებულ სიბნელეში ცეცებ-ცეცებით სიარული!

კარგად გეხსომებათ, ბატონო ელიზბარ, რომ უზენაესი საბჭოს მრავალპარტიული არჩევნების წინა პერიოდში, როცა პარტიული სიები დგებოდა, მე რედაქციაში გეახელით და წერილი მოგიტანეთ — „მორალი „სოვეტ გურჯუსტანისებურად". ისიც გთხოვეთ, ხომ არ დაგვთანხმდებით-თქო კომპარტიის სიაში შეყვანას. თქვენ რომ პასუხი გამეცით, იმას რა დამავიწყებს — ახლაც გულიანად მეცინება — თუ კომუნისტებმა არჩევნებში გაიმარჯვეს, მაშინ გავალ კომპარტიიდანო. მერე ისე მოხდა, რომ თქვენ ახალი, სხვა პოლიტიკური ბლოკის სიაში აღმოჩნდით, ბუნებრივია, „თქვენი" ძველი პარტიაც მიატოვეთ, თუმცა იმ „ბლოკურ" მეტამორფოზას არც თქვენთვის (მაჟორიტარულად) და არც სიისათვის, არანაირი ხეირი არ მოუტანია. ისე, რამდენადაც ვიცი, თქვენ კენჭს იყრიდით იმ რაიონში, სადაც ქართველი ამომრჩევლები უმცირესობაში იყვნენ. ამიტომ არ არის გულწრფელი აქცენტირება 700000 ამომრჩევლის ეროვნულ კუთვნილებაზე, რომლებმაც კომუნისტებს მისცეს ხმა. მაშ რა გამოდის? — გასული წლის მარტის ბოიკოტირებულ არჩევნებში თქვენ რომ არსებითად არაქართულ ამომრჩევლებში ელოდით მხარდაჭერას, ეს თქვენი კომუნისტობით იყო მხოლოდ გამოწვეული? არ გეკადრებათ ეს. მე უფრო ის მიკლავს გულს, რომ თქვენ, ჩემი ზემოთ ნახსენები წერილი („მორალი „სოვეტ გურჯუსტანისებურად") იმ მიზეზის გამო არ დაბეჭდეთ, რომ ბოიკოტირებულ არჩევნებშიც და ოქტომბრის არჩევნებშიც თქვენს სასარგებლო პროპაგანდას ეწეოდა ჩემი წერილის კრიტიკის უმთავრესი სამიზნე — გაზეთ „სოვეტ გურჯუსტანის" რედაქტორი ს. სულეიმანოვი. მე კი ბრიყვულად ველოდი ყოველ პარასკევს, რომ ის წერილი დაიბეჭდებოდა. უხერხულობის მოტივები თქვენ მხოლოდ არჩევნების შემდეგ გამიმხილეთ და მეც კაცურად გაგიგეთ. (ის წერილი, შემდგომ გაზეთ „კაბადონმა" დაბეჭდა). ახლა კი, როცა ერთ ქვაბში „გადაგვიშვით" ყველა, ვეღარ დავმალე ის, რასაც სიტუაციის ლოგიკას დაქვემდებარებული მორალი ეწოდება. სიტუაციას დაქვემდებარებული მორალის თანახმად კი, დღეს შეიძლება ვაძაგოთ ის, რასაც გუშინ ხოტბას ვასხამდით და ასე უსასრულოდ. როცა მორალს ამა თუ იმ სიტუაციას ვუქვემდებარებთ, თავისთავად, აბსტრაქტულად, მორალი კი არ ზარალდება, არამედ პიროვნება, მისი ზნეობა.

ღმერთმა დამიფაროს, ბატონო ელიზბარ, რომ მე თქვენზე ისე ვბჭობდე, თითქოს გაბრაზებული ვიყო, ესა თუ ის სტატია არ დამიბეჭდაო. პირიქით, თქვენ საკმაოდ დაგიბეჭდიათ ჩემი წერილები და ზოგიერთი მათგანის გამო უსიამოვნებაც კი შეგხვედრიათ, მაგრამ არა ისეთი და იმ ორგანოსაგან, რომლის ჩარევის გარეშე, როცა თქვენ რედაქტორად დაგნიშნეს, არაფერი წყდებოდა. ისიც ხომ კარგად გახსოვთ, რომ ჩემი წერილი — „უზნეობის ზეიმი ანუ „მეგრელთა საქმე", რამდენი ხანი იდო თქვენდამი დაქვემდებარებული რედაქციის პორტფელში და მაშინ გულწრფელად მითხარით, რომ „ზევიდან" არ მაბეჭდინებენო, მითხრას პატიაშვილმა ან ფოფხაძემ და დავბეჭდავო. ცხადია, მეტყვით, სხვა სიტუაცია იყოო, მაგრამ მორალი ხომ ერთია, ჭეშმარიტება ხომ ერთია და იგი არანაირ სიტუაციას არ უნდა დავუქვემდებაროთ! ამგვარ დაქვემდებარებას თუ მივეჩვიეთ, ძნელად თუ გადავეჩვევით მერმე. გამიგია, რომ თქვენ კარგად იცნობთ ჩვენი საწინააღმდეგო სქესის ბუნებას — თუ გაიმნაირდა, ვეღარ გადმოაამნაირებ!

ასჯერ შევუძახე თავს, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში" დაბეჭდილ თქვენს საუბარში ახალ პოლიტიკურ სიტუაციას დაქვემდებარებული მორალი არ ამომეკითხა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. მე, ერთ კაცს, რომელიც ხუთი წელიც არ გასულა, რაც პარტიის წევრი ვარ, ყველაზე იოლად იმის დასაბუთება შემიძლია, რომ არა ვარ კომუნისტი კლასიკური გაგებით, იმიტომ რომ „კლასიკური" კომუნიზმი მკვდარშობილი იყო და, სამწუხაროდ, ახლაღა გაასვენეს, მაგრამ ვინც ამ მკვდარს ცოცხლად მიიჩნევდა ათეული წლების განმავლობაში და ახლა „საზეიმო" სამგლოვიარო იერი მიიღო, ბევრი არაფერი დაეჯერება. ამას, თქვენი მისამართით არ ვამბობ. მრავალია ამ სიტყვების ადრესატი.

ვიცი, წაიკითხავთ თუ არა ამ სტრიქონებს, უმალ ერთი და სწორი კითხვა დაგებადებათ: — კი მაგრამ, გერმანე, მითხარი ერთი, თუ კლასიკური გაგებით კომუნისტი არა ხარ, არაკლასიკური გაგებით კომუნისტი რას ნიშნავსო? ამგვარი კითხვა, თქვენს მიერ მიცემულ ინტერვიუშიც გამოსჭვივის. გეტყვით, გიპასუხებთ ბატონო ელიზბარ! — იმიტომ ვარ კომპარტიაში, რომ ჩემნაირი კრემლის მარიონეტად არ იქცევა, სიტუაციის მარიონეტად არ გარდაიქმნება, კეთილს თუ ვერ დაამკვიდრებს, ბოროტს აღუდგება [illegible] დაკავშირებით გამოთქმულ თქვენს მოსაზრებას თქვენ ჭკვიანი კაცის წარმოსახვის კვალიფიკაციას არ აძლევთ, სამაგიეროდ, აფრთხილებთ სრულიად საქართველოს, რომ ნუ გგონიათ კომუნისტები ახლაც არ წარმოადგენენ სერიოზულ და საშიშ ძალასო. ცხადია, რომ ამ გაფრთხილებაში არც ფრანგ კომუნისტებს არ გულისხმობთ და არც რუსებს. ქართველი კომუნისტები ემზადებიან მეორე „რაუნდისთვისო". თქვენ, ხმებს აჰყოლიხართ და წერთ, რომ ქართველი კომუნისტები აგროვებენ თურმე უკმაყოფილო ხალხს და საკავშირო კომპარტიის პლატფორმაზე მათი არსებობის საფუძველს ამზადებენო. ერთობ მძიმე ბრალდებაა, ბატონო ელიზბარ! წესიერ კაცს თქვენი ბრალდებით მტყუან-მართლის გარჩევამდე გული საგულეს ვერ დაუდგება, უარესი თუ არ დაემართა. ცხოვრებაში ანგარიშსწორების სურვილი არასდროს გამჩენია, თვით იმ დროსაც კი, როცა ცენტრალური კომიტეტის სპეციალური კომისია ამ რამდენიმე წლის უკან (1986 წ.) ერთი წელი იკვლევდა ჩემს კომკავშირულ წარსულს საქართველოში ამჟამად არსებული ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერის, იმხანად „გულგადამკვდარი" კომუნისტის მიერ დაწერილი საჩივრის საფუძველზე (არ გაგეცინოთ, მაგრამ იმხანად პარტიაში შესვლამ გვარიანად მიხსნა!).

თქვენს მიერ წამოყენებულ ბრალდებასთან დაკავშირებით, მე ვსვამ საკითხს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წინაშე, რათა შეიქმნას სპეციალური სადეპუტატო კომისია ამ საკითხის შესასწავლად. ვიდრე საკითხი შეისწავლება, თქვენი ეჭვი იმ ავადმოსაგონარი ჩემი კომკავშირული წარსულის შესახებ დაწერილი საჩივრის ავტორის ერთ დებულებას. მაგონებს —

«По анонимному телефонному звонку мне было сообщено, что прокуратура Ленинградской области интересовалась делом Г. Г. Пацация» — ო!..

გაზეთ „ცხოვრების" თქვენეულ შეფასებათა გაბათილებას არ შევუდგები, იმ გაზეთს დღესდღეობით ერთი რედაქტორი და ერთი თანამშრომელი ჰყავს ერთი პიროვნების სახით და, წარსულისაგან განსხვავებით, მას არ გააჩნია კონკრეტული მეურვე ცენტრალურ კომიტეტში და, ალბათ, ამის გამოა, რომ ეს გაზეთი ნაწილობრივ ასახავს საკუთრივ რედაქტორ-თანამშრომლის „ცხოვრებას" და, მის პირველ გვერდზე დაბეჭდილი ცენტრალური კომიტეტის შენობის სურათის ქვეშ რომ სულ სხვა წარწერა ყოფილიყო, ამის წინააღმდეგი არც ჩვენ ვიყავით და იქამდე, როგორც თქვენ ბრძანებთ, „ვიდრე ხალხი არ აღშფოთებულა" (სადაც ჯერ არს!). დავუშვათ და თქვენ მიიჩნევთ, რომ ვინც ამჟამად ცენტრალურ კომიტეტშია, მათ ერთადერთი ფუნქცია გააჩნიათ — ფუნქცია ხალხის აღშფოთებისა! თქვენ როგორ უნდა მოიქცეთ ამ შემთხვევაში? აღშფოთების პირას მყოფ ხალხს უნდა უკარნახოთ ამ თემით აღშფოთება თუ პირიქით, დააშოშმინოთ იგი, რამეთუ საალშფოთებლო თემების მეტი რა გვაქვს? თუ თქვენ ხალხად (ან მის ნაწილად) არ მიგაჩნივართ, მაშინ სულ სხვანაირად უნდა ელაპარაკოთ იმათ, ვისაც ხალხად მიიჩნევთ, თორემ, მართლაც რას იტყვის ხალხი? ეს ხომ ის ხალხია, რომელსაც იმპერიის ურჩხული უპირისპირდება, მის ნებას უპირისპირდება და მისი ნებით არჩეულ უზენაეს საბჭოს? ისე ხომ არ გამოგვიდის, რომ სასწორის ერთ მხარეს ხალხია, ხოლო მეორე მხარეს — უცხო რამ სხეული, კომუნისტები? თუ რაიმე კონკრეტულ დაპირისპირებას ამჩნევთ, ამის შესახებ ბჭობაც კონკრეტული უნდა გქონდეთ და ხელი არ უნდა შეუწყოთ მცირეოდენი ბზარის ნაპრალსა და უფსკრულში გადაზრდას.

თქვენ, ერთი მხრივ, ცდილობთ კომუნისტ-პიროვნებებს გაუფრთხილდეთ, ოდნავ გამოგდით კიდეც ეს, მაგრამ, მეორე მხრივ, თქვენი მიდგომის პათოსი და აპრიორული კონცეფცია არ გაძლევთ ამის საშუალებას, რადგან, მიგაჩნიათ, რომ სექტემბერში პარტიიდან გასულს (თქვენზეა ლაპარაკი) ზნეობრივი კათარზისი გავლილი აქვს, ხოლო თებერვალში პარტიაში მყოფს — გასავლელი. ზნეობრივი კათარზისისათვის რომ პარტიიდან გასვლა იყოს მხოლოდ საკმარისი, რამდენი ათასი განწმენდილი მოგვმატებია ქართველებს, სწორედ ქართველებს, ვინაიდან კომპარტიიდან ქართველები გადიან და არა არაქართველები. მე რომ დღეს კომპარტიიდან გავიდე და ცენტრალური კომიტეტის მდივნობა დავტოვო, (რისი მზადყოფნაც უკვე განვაცხადე), აღარც ჩემი განწმენდა მოხდება (ან რა მჭირს განსაწმენდი) და, ალბათ, არც საქართველო აშენდება, მაგრამ ყველა ქართველმა რომ მიატოვოს კომპარტიის რიგები, იმდენი მაინც დარჩება, რამდენიც დღეს საქართველოს დანარჩენ პოლიტიკურ პარტიებშია ერთად და, დარჩება ყველა არაქართველი! ახლა, კიდევ ერთ კითხვას დაგისვამთ: ჩვენ, კომპარტიაში მყოფი ქართველები, ვუწყობთ ხელს კრემლის (სკკპ) პლატფორმის ფაქტობრივ და იურიდიულ დამკვიდრებას თუ, თქვენ, ბატონო ელიზბარ, მასობრივი დეპარტიზაციის უპასუხისმგებლო შეძახილით და მოთხოვნით? — მერწმუნეთ, ქართველთათვის საშიში და წამგებიანია საჯაროდ ღრმა და პოლიტიკურ-კონცეპტუალური მსჯელობა ამ საკითხზე!

საქართველოს კომპარტიაში ჭეშმარიტ ქართველთა ყოფნის აუცილებლობის ჩემეულ არგუმენტებს, საქართველოს ანექსირების პირობებში, თვით კომუნისტებისაგან დევნილი ბატონი ზვიად გამსახურდიაც, სხვა რომ არა ვთქვა, გაგებით მოეკიდა. ჩემი და ბატონ ზვიადის საუბარი, თქვენთან საუბრის გამოქვეყნების დღეს შესდგა სწორედ (ჩემი წერილიც იმ დღეს დაიწერა). ნუღარ ვექცევით ერთმანეთს ეროვნულობის ხარისხის დამდგენ კრიტერიუმებად. უხერხულია ეს.

ისევ პოლიტიკურ სიტუაციას დაქვემდებარებული მორალი მახსენდება: დეპარტიზაციის თქვენეული მოთხოვნა, თქვენივე დღევანდელი პოლიტიკური გაურკვევლობისადმი მორალის დაქვემდებარების მცდელობაა და ეს იგივეა, რაც მორალური უპოზიციობა.

ის, რაც თქვენ დღევანდელი ქართველი კომუნისტების მიმართ განაცხადეთ (ქვემოთ შეგახსენებთ!) ბოლშევიკებსაც არ მოსვლიათ აზრად, ყოველ შემთხვევაში, ასეთი რამ არ გაუმხელიათ მაინც. ამას რას ვხედავ ბატონო ელიზბარ? ასეთი რამ თქვენგან, ჰუმანისტი, ლიტერატორი, მეცნიერი კაცისაგან დაუჯერებლად მიმაჩნია. პირიქით, ყოველთვის ვიფიქრებდი, რომ იმ აზრებს, რომლებიც ამჟამად თქვენ გეკუთვნით, სხვისაგან თქვენვე არასდროს შეიწყნარებდით. ქართველი კაცის ბუნება მაინც რამ დაგავიწყათ! ქართველი შინაგანი არსებით ზეპარტიულია და თუ იგი კომპარტიის რიგებშია, ერთ სიბრტყეზე არ უნდა დააყენოთ რუსი, უკრაინელი, რუმინელი თუ ჩეხი კომუნისტების გვერდით.

ცხადია, არ ვიცი, ბატონო ელიზბარ, რა ხასიათზე ბრძანდებოდით, როცა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქტორის მოადგილეს ბატონ კახა სიხარულიძეს ესაუბრებოდით, მაგრამ ახლა უცვლელად მოვიყვან თქვენს სიტყვებს და მათ თუ ხელახლა მოაწერთ ხელს, თქვენს კაცურ და პოლიტიკურ სინდისზე იყოს:

„უნდა ავამოქმედოთ ისეთი ბერკეტები, რომელთა გამოყენებაც თვალშისაცემ შედეგს გამოიღებს. შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს და არადემოკრატიულობაში ჩამომართვას, მაგრამ, ჩემი აზრით, ამჟამინდელი ხელისუფლება, ისევე „დემოკრატიულად" უნდა მოიქცეს, როგორც იქცეოდნენ კომუნისტები: ცნობილია, რომ ნებისმიერ თანამდებობაზე, ნებისმიერ დარგში კაცს არ დანიშნავდნენ, თუკი ის პარტიული არ იყო. ახლა კი ყველაფერი პირიქით უნდა მოხდეს. არც ერთ თანამდებობაზე არ უნდა დაინიშნოს კომპარტიის წევრები".

საკადრო-პოლიტიკური გენოციდის უკეთეს ფორმულას ძნელად თუ მოიფიქრებს კაცი. საკადრო-პოლიტიკური ფაშიზმია ეს და სხვა არაფერი. თქვენდა და ჩვენდა სამწუხაროდ გაუცნობიერებლად მოგდით ასე, ბატონო ელიზბარ, და ეს, იმავდროულად, ბედნიერებაცაა ალბათ. მრავალპარტიულობა ვერ იგუებს ამგვარ მიდგომას. მალე, ალბათ, პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონსაც მივიღებთ, ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა. მანამ კი, გუშინდელმა პარტიელებმა მაინც შეიკავეთ თავი უკიდურესობებისაგან.

რაც შეეხება ქართველი კომუნისტების მოსკოვში სირბილს: მე ვიცი, რომ პირველი მდივანი ბატონი ავთანდილ მარგიანი მოსკოვში სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე იყო მიწვეული (იგი არ არის დეპუტატი) და მთელი ის პერიოდი ამაოდ იბრძოლა, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთის საკითხზე სიტყვით გამოსულიყო, მაგრამ არავინ მიაკარა ტრიბუნას. როგორც ჩვენი პარლამენტის სესიაზე განაცხადა, გორბაჩოვსაც არ მიუღია. მეორე მდივანი ბატონი გიორგი ჩიჩელაშვილი, ორჯერ იყო საკავშირო პლენუმზე და ისიც სტუმრის სტატუსით, სადავო საკითხების გასარკვევად. ესაა და ეს. ეჭვები რომ გაიფანტოს, თუ რა ინტენსივობით „დაცუნცულებენ" მოსკოვში ცენტრალური კომიტეტის მდივნები, აქაც ვსვამ საკითხს ჩვენი მრავალპარტიული უზენაესი საბჭოს წინაშე, ზემოთ დაყენებულ საკითხთან ერთად სადეპუტატო კომისიამ ეს საკითხიც შეისწავლოს და, მესამე, ისიც შეისწავლოს, გადმორიცხა თუ არა საკავშირო კომპარტიამ 10 მილიონი მანეთი საქართველოს კომპარტიისათვის.

რაოდენ დასანანია, რომ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა" „სახელმოხვეჭილ" „ლენინსკოე ზნამიას" დაენდო და ცკ-ის მიერ მომზადებული ერთი ციცქნა განცხადება დაბეჭდვის ღირსადაც არ ჩათვალა (ბატონი მამუკა ფიჩხუაშვილი დამიდასტურებს, რომ პირადადაც ვთხოვე დაბეჭდვა).

„ათმილიონიანი" ისტერია გრძელდება. ერთმა ახლობელმა მითხრა, ამას წინათ ტელევიზიით ბატონი თემურ ქორიძე გამოვიდა და ბრძანა — იმ ათი მილიონიდან იქნებ გერმანე ფაცაციასაც ერგო რამეო. ჩემი ტელევიზორი თბილისის პროგრამას არ უჩვენებს (!), ტელეფონი მე არ მიდგას ბინაში, რომ შაბათ-კვირას როგორმე გადამემოწმებინა ეს ინფორმაცია. გავმწარდი, ვაჟაშვილის სულს გეფიცებით, არ გავაკარე გულსა და გონებას, რომ ასეთ რამეს იკადრებდა ბატონი თემური. რაღაც რამ უხილავი ძალა მაინც არ მასვენებდა და მაშინღა ამოვისუნთქე, როცა ის სიტყვები მტკნარი სიცრუე აღმოჩნდა.

ალბათ ნახავდით, ბატონო ელიზბარ, რომ გაზეთის იმ ნომერში, სადაც თქვენთან საუბარი დაიბეჭდა, შესანიშნავი ქართველი ქალბატონის, ბრწყინვალე მეცნიერის თამარ დეკანოსიძის განცხადებაც იყო დაბეჭდილი „ათი მილიონის" გამო პარტიიდან გასვლის თაობაზე. ქალბატონი თამარი, თავის სხვა ტიტულებთან ერთად, უზენაესი საბჭოს წევრობასაც მოიხსენიებდა. რაღა ვქნათ, განა არ იცის ქალბატონმა თამარმა, რომ იგი კომპარტიის სიით „იკურთხა" დეპუტატად. როცა მან იმ სიაში ყოფნის დასტური განაცხადა, პარტიის ყრილობის მეორე ეტაპი ჰორიზონტზეც არ ჩანდა და დამოუკიდებლობის რამდენიმე მკრთალი ატრიბუტიც შორს იყო კომპარტიისაგან. მე რომ კაცმა მკითხოს, ქალბატონი თამარი მაშინ იქნებოდა გულწრფელი, პარტიიდან „ათი მილიონის" გამო (!) გასვლასთან ერთად, იმ სიიდანაც რომ გასულიყო, რომლიდანაც ერგო უზენაესი საბჭოს წევრობა.

ბატონო ელიზბარ! თქვენ ბრძანებთ, რომ ჰაერში ღალატის სუნი ტრიალებს. ღალატის სუნი თუ მარტო ჰაერში ტრიალებს, მას გადირეკს თებერვლის ქარები. სულმნათ ვაჟა-ფშაველას თუ დავესესხებით აზრს, ისე არ მოხდეს, ჰაერიდა დარჩეს ქართველთა ღვთიური მიზნის შემნახავად.

დავინდოთ ერთმანეთი, ერთმანეთს დავენდოთ.

ჩემს წერილს თქვენი სიტყვებით დავასრულებ და ხელსაც მოვაწერ:

„ყველაფერს უნდა დაერქვას თავისი სახელი, რაც შეიძლება ნათლად და მკაფიოდ. მტერს მტერი უნდა ვუწოდოთ, მოყვარეს კი მოყვარე. მაგრამ ამ შეფასებაშიც სიდინჯე გვმართებს, თორემ წამოსროლილმა სიტყვამ ისეთი გულის დაკოდვა იცის, რომ მას ვერავითარი მალამოთი ვერ უმკურნალებს კაცი. მეტიც უნდა ვთქვა, ახლა არა მარტო სახელი უნდა დავარქვათ საგანს, არამედ უნდა ვიმოქმედოთ, ვიღვაწოთ და ვიბრძოლოთ იმ ნათელი მიზნისათვის, რასაც თავისუფალი, დემოკრატიული და დამოუკიდებელი საქართველო ჰქვია".

პატივისცემით

თქვენი გერმანე ფაცაცია.

9 თებერვალი, 1991 წ.

P. S. ღია წერილი „ანეგდოტური სიტუაციით" იმიტომ დავიწყე, ბატონო ელიზბარ, რომ, ჟამი-ჟამ, ანეგდოტურად ვექცევით ერთმანეთს, ღმერთმანი!

გ. ფ.

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება საქართველოს ეროვნული გვარდიის ფონდში.

რედაქციისაგან: ეს წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც შევიტყვეთ ბატონ გერმანე ფაცაციას საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცკ-ს მდივნობიდან გადადგომის შესახებ.

ამგვარად, ყველაფერი სხვაგვარ ელფერს იძენს.

წერილის კომენტარისაგან თავს ვიკავებთ. საბოლოო განსჯისათვის, მკითხველებს, ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში ბატონ ელიზბარ ჯაველიძის პასუხს შევთავაზებთ, რომელიც ასევე ბატონი გერმანეს თანამდებობიდან გადადგომამდე დაიწერა.

ერთი „პოსტსკრიპტუმის" გამო

6 თებერვლის „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა ზაზა ჯაფარიძის წერილი „კვლავ სპორტის დეკოლონიზაციისათვის", სადაც ავტორი „პოსტსკრიპტუმში" ეხება ამავე გაზეთის 31 იანვრის ნომერში დაბეჭდილ ჩვენს პუბლიკაციას: „სპორტი და ეროვნული ინტერესები განუყოფელია" და ბრალად გვდებს არაპროფესიონალიზმსა და „ლოზუნგური ჭკუის სწავლების შეურაცხმყოფელ ტონს".

პროფესიონალიზმზე შემდგომ... მანამდე კი, მოდით გავერკვეთ ბრალდებაში „ლოზუნგების" შესახებ. იმისათვის, რომ ნათლად წარმოჩნდეს, თუ რით დავიმსახურეთ ასეთი რისხვა, ქვემოთ თეზისებად მოგვყავს ჩვენს წერილში წამოყენებული დებულებანი:

ა) ჩვენი სურვილისდა მიუხედავად, სპორტი ვერ იქნება თავისუფალი პოლიტიკისაგან.

ბ) საბჭოური სპორტის ერთიანი, მთლიანი სტრუქტურის დაშლა დააჩქარებს საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ რღვევას.

გ) ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი თავისუფალი საქართველოს ცხოვრების თავისებური მოდელია;

დ) უარი უნდა ვთქვათ „საბჭოთა კავშირის" მასშტაბის გამორჩეულ სპორტულ დამსახურებებზე.

ე) საქართველოს სპორტულ ჟურნალისტებს წლის საუკეთესო 10 სპორტსმენს შორის უნდა გამოენახათ ადგილი საქართველოს სახელით მოასპარეზეთა შორის მსოფლიო ჩემპიონატის პირველი მედალოსნის, ზაურ ცხადაძისათვის.

ვ) არ უნდა დავდგათ სპორტული სპექტაკლები „საბჭოთა" ნაკრების პროპაგანდისათვის.

ახლა, გვინდა ვკითხოთ ავტორს, ჩვენს მიერ გამოყოფილ ამ თეზისებში სად არის „ჭკუის სწავლება" და მით უფრო, ლოზუნგური? როგორც ხედავთ, პირველი სამი პუნქტი, მხოლოდ ჩვენივე საკუთარ ვარაუდებს ეფუძნება. ლოზუნგობის ბრალდება მხოლოდ დანარჩენ სამს შეიძლება წავუყენოთ, თუ ამ საკითხებზე ტკივილიან დაფიქრებას, ნიშნის მომგები ზეიმური კილოთი შევცვლით. ამიტომაც გვსურს, ვკითხოთ ბატონ ზაზას:

1. როგორ მოვიქცეთ, კიდევ ვიბრძოლოთ საბჭოთა კავშირის დამსახურებული ოსტატის, მწვრთნელის, მსაჯის და სხვა წოდებებისათვის?
2. კვლავაც შევიყვანოთ საქართველოს 10 საუკეთესო სპორტსმენის სიაში საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში გამარჯვებული სპორტსმენები?
3. სპორტსმენთა საბენეფისო საღამოები მომავალშიც გამოვიყენოთ ხოლმე საბჭოთა ნაკრებების პროპაგანდისათვის?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ კითხვებზე ავტორი, ალბათ, არ უპასუხებს დადებითად, რის საფუძველსაც გვაძლევს მთელი მისი წერილის პათოსი და ძირითადი დასკვნა, რომელიც იდენტურია ჩვენი მთავარი დებულებისა, რის გამოც იგი საგანგებოდ შემოვინახეთ ბოლოსათვის. აი, ისიც:

ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ საქართველომ თავისი სახელით მიიღოს მონაწილეობა ბარსელონას ოლიმპიადაზე, ხოლო თუ ამას ვერ შევძლებთ, სჯობს სულაც უარი ვთქვათ ოლიმპიურ ჯილდოზე, ვიდრე მოვიპოვოთ საბჭოთა კავშირის სახელით.

- ახლა თავად განსაჯეთ, თუ იგივეს არ ამბობს ზაზა ჯაფარიძე:

„ქართული სპორტი მსოფლიოს წინაშე საქართველოს და მხოლოდ საქართველოს უნდა წარმოადგენდეს". მაშ რაღაა სადავო? იბადება კითხვა: ჩვენს წერილში რაღამ გააღიზიანა იგი? აი, აქ შეგვიძლია დაბეჯითებით გიპასუხოთ: ჩვენმა ეგრეთ წოდებულმა არაპროფესიონალიზმმა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ავტორს მიაჩნია: სპორტის თემაზე მხოლოდ ამ სფეროში დასაქმებულებმა უნდა წერონ. მაგრამ ჩვენ ხომ არც ვიჩემებდით პროფესიონალობას და აკი სპორტის სპეციფიკურ საკითხებს არ შევხებივართ. ჩვენ მხოლოდ ზნეობრივ მხარეზე ვწერდით და იმ ფორმებსა და საშუალებებზე, რომელთა მეოხებითაც ქართული სპორტი უნდა (ან, არ უნდა) გავიდეს, წარსდგეს მსოფლიოს წინაშე. ეს კი მხოლოდ ვიწრო სპეციალისტთა კომპეტენციის საგანი არ გახლავთ. ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა სფეროში: ქართველი მუსიკოსი, მსახიობი თუ მეცნიერი მსოფლიო ასპარეზზე საქართველოს სახელით გავა თუ რუსეთის, ეს არ შეიძლება იყოს მხოლოდ ამ სპეციალობის წარმომადგენელთა პრეროგატივა — იგი მთელი ერის ღირსების საკითხია და მთელი ერისავე გადასაწყვეტია!

ზურაბ ასკანელი,
ლევან ახმეტელი.

ბატონო ზურაბ, ბატონო ლევან!

ალბათ დამეთანხმებით, რომ ჩვენი გულისტკივილი საერთოა და მისი განკურნებისათვის ქიშპის ნაცვლად ერთობა გვმართებს. თქვენი „პასუხის პასუხის" ძირითად დებულებებს თითქმის სრულიად ვიზიარებ და თუ თქვენ წინააღმდეგნი არ ბრძანდებით (მსურს ასე მჯეროდეს) მე ჩემი მხრიდან ხელს ვაწერ ჩვენი ურთიერთკეთილგანწყობის ხელშეკრულებას.

თქვენი პასუხის ანალოგიურობის შემთხვევაში დიდი მადლობის მოხსენება გვმართებს „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციისათვის, რომელმაც ჩვენი სახით საპირისპირო ბანაკის შეთანხმება შეძლო და ვგონებ, საღი აზრის გამარჯვების გზითაც.

კვლავ პატივისცემით

ზაზა ჯაფარიძე

სპორტი

თბილისის საერთაშორისო

თბილისის სპორტის სასახლემ ოცდამეორედ უმასპინძლა საერთაშორისო შეჯიბრებას ძიუდოში. წლევანდელ ტურნირში საქართველოს, საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის, იუგოსლავიის, მონღოლეთის, პოლონეთისა და ესპანეთის ათლეტებმა მიიღეს მონაწილეობა. საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების გამო, შეჯიბრებაში მონაწილეობა ვერ მიიღეს ბევრ ქვეყნის მოჭიდავეებმა, მათ შორის ვერ ვიხილეთ ძიუდოს სამშობლოს — იაპონიის წარმომადგენლებიც.

60 კგ წონით კატეგორიაში ოქროს მედალს დაეუფლა რობერტ ლომთაძე, რომელმაც ფინალში სძლია ნ. ჰუსეინოვს (სსრკ). ამ წონაში ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა გ. კეკერაშვილს. 65 კგ წონაში საუკეთესო იყო გერასიმე ხაბულიანი, რომელმაც დაამარცხა მონღოლი ერდენ ბატორ სოლმცოკი. 71 და 78 კგ წონაში ჩვენი რესპუბლიკიდან მხოლოდ ბათო ჯიქურსა და მამუკა მაზმიშვილს ხვდათ წილად ბრინჯაოს მედლები. 86 კგ გამარჯვების უმაღლეს კვარცხლბეკზე ავიდა დავით ბაგაური, ვერცხლიც ჩვენს თანამემამულე ვასილ ომარაშვილს ერგო, რომელმაც ფინალში ტრავმის გამო ვერ შეძლო ბრძოლა.

ოქროს მედლები გადაეცათ აგრეთვე ჩელიაბინსკელ გივი გაურგაშვილს (95 კგ-მდე) და ქუთაისელ დავით ხახალეიშვილს (95 კგ).

• • •

სურათებზე: შეჯიბრების მომენტები.

ვარლამ გენგიურის ფოტო.

საკუთარ სახლში

მიტინგი ტექნიკურ უნივერსიტეტთან

18 **თებერვალს** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობასთან გაიმართა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა და მასწავლებელთა მიტინგი. იგი მიეძღვნა იმ მიტინგის წლისთავს, რომელიც ზუსტად ორი წლის წინათ დაარბიეს ამ ადგილას.

მიღებულ რეზოლუციაში დაგმეს ისინი, ვინც მიტინგის დარბევაში მონაწილეობდა, და წამოაყენეს რამდენიმე მოთხოვნა, რომლებიც შეეხება როგორც უმაღლესი სასწავლებლის ცხოვრებას, ისე რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიტუაციასაც.

სურათებზე: მიტინგის დროს.

პაატა არჩაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ძირს კომუნისტური მაფია!

მთავარი რედაქტორი მამუკა ფიჩხუაშვილი
მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. № 29.
ინდექსი 68484
საქართველოს რესპუბლიკა